პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

კომუნისტი — орган ЦК КП Грузии, Верховного Совета Грузинской ССР и Совета Министров Грузинской ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

1979 წელი
ხუთშაბათი
28
ივნისი
№ 148
(17493)
ფასი 2 კაპ.

თანამეგობრობის დიადი ძალა

ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს სესიის სხდომა

ნაყოფიერი, დაძაბული შრომის ვითარებაში ეგებება თავის 30-ე წლისთავს ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭო. 26 ივნისს მოსკოვის კაშირების სახლის სვეტებიან დარბაზში გაიხსნა ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს სესიის XXXIII სხდომა, რომლის მონაწილეები განიხილავენ განვლილი სამი ათწლეულის მუშაობის შედეგებს, მსჯელობენ იმ პერსპექტივებზე, თუ როგორ განავითარონ თანამშრომლობა მისი ეფექტიანობის ამაღლების, ხალხთა შორის მეგობრობის განმტკიცებისა და პლანეტაზე მშვიდობის დამკვიდრების მიზნით.

სხდომა გახსნა მისმა თავმჯდომარემ — სსრ კავშირის დელეგაციის მეთაურმა **ა. ნ. კოსიგინმა.**

ჩვენი დღევანდელი სხდომა, თქვა მან, ეძღვნება სოციალიზმის ქვეყნების ცხოვრების დიდმნიშვნელოვან მოვლენას — ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს 30-ე წლისთავს. კომუნისტური და მუშათა პარტიების ნებით შექმნილი საბჭო გახდა მსოფლიო ისტორიაში პირველი საერთაშორისო ორგანიზაცია, რომლის ფარგლებში სოციალისტური ინტერნაციონალიზმის პრინციპების საფუძველზე ხორციელდება სუვერენულ და თანასწორუფლებიან სახელმწიფოთა გეგმაური ეკონომიკური თანამშრომლობა.

ა. ნ. კოსიგინმა გამოთქვა რწმენა, რომ სესიის სხდომის მონაწილეთა ერთობლივი მუშაობა ხელს შეუწყობს ამ თანამშრომლობის შემდგომ განვითარებას, სოციალისტური ეკონომიკური ინტეგრაციის გაღრმავებას თითოეული ცალკეული ქვეყნისა და მთელი სოციალისტური თანამეგობრობის, მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის საკეთილდღეოდ.

სსრ კავშირის დელეგაციის მეთაურმა განაცხადა, რომ სხდომის მონაწილეებს მისალმებით მიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა. ლ. ი. ბრეჟნევის დავალებით, საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა სხდომის მონაწილეებს გადასცა მისი გულითადი სალამი, წარმატება უსურვა მუშაობაში და წაიკითხა მისალმების ტექსტი, რომელსაც მხურვალე ტაშით შეხვდნენ.

სხდომაზე გამოვიდა **ხ. ტოდოროვი.** გავა ათწლეულები, თქვა ბულგარეთის წარმომადგენელმა, და ჩვენი ახლანდელი პრობლემები და სიძნელენი დავიწყებას მიეცემა, მაგრამ კაცობრიობას მარადჟამს ეხსომება ახალი, სოციალისტური რევოლუციით შობილი ეკონომიკური წესის პირველადმომჩენნი, თავისუფალ და თანასწორუფლებიან ხალხთა შორის ძმური თანამშრომლობის ურთიერთობის ფუძემდებელნი, მშენებელნი ჩვენი საერთაშორისო ორგანიზაციისა, რომელსაც ოცდაათი წელი შეუსრულდა.

ს. ტოდოროვმა წაიკითხა ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის ტ. ჟივკოვის მისალმება. მისალმებაში და მომმე ქვეყნის დელეგაციის მეთაურის გამოსვლაში ხაზგასმით აღინიშნა, რომ ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭო ეპოქის პირმშოა, მსოფლიო სოციალისტური სისტემის პირმშოა. სოციალისტური ბულგარეთის მატიანე განუყოფელია ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ოცდაათი წლის გზისაგან.

ბულგარეთის ხელმძღვანელებმა განსაკუთრებით აღნიშნეს საბჭოთა კავშირის როლი ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს საქმიანობის განვითარებაში და მხურვალე მადლობა მოახსენეს სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის მთავრობას, პირადად ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს თანამიმდევრული ინტერნაციონალიზმისათვის, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკისა და სსრ კავშირის ძმური მეგობრობისა და თანამშრომლობის განმტკიცებისა და გაღრმავების, დაახლოების საერთო საქმეში შეტანილი ფასდაუდებელი წვლილისათვის.

დ. ლაზარის გამოსვლასა და უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის პირველი მდივნის ი. კადარის მისალმებაში აღინიშნა, რომ თანამშრომლობის ოცდაათი წლის მანძილზე ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ეპოქის პირმშოთა, მსოფლიო სოციალისტური სისტემის ქვეყნებმა მსოფლიოში უმაგალითო დინამიკურ განვითარებას მიაღწიეს.

(დასასრული მე-3 გვ.).

ჩვენს ქვეყანაში

ინფორმაცია—79

მხატვრული ლენინიანა

„ვ. ი. ლენინის სახე საბჭოთა ხელოვნებაში" — ასე ეწოდება გამოფენას, რომელიც 22 ივნისს გაიხსნა ვ. ი. ლენინის ცენტრალურ მუზეუმში. გაეროფენა ოქტომბრის ბელადის დაბადების 110-ე წლისთავს ეძღვნება.

გამოფენაზე წარმოდგენილია ცნობილი საბჭოთა ოსტატების ფერწერული ტილოები, ქანდაკებები, გრაფიკული ფურცლები. მათ შორის არის ი. ბროდსკის, პ. ვასილიევის, კუზრინსკების, დ. ნალბანდიანის სურათები, ნ. ანდრეევის, ს. მერკულოვის, ნ. ტომსკის სკულპტურული ნამუშევრები, 55 წლის წინათ აღმართული ვლადიმერ ილიას ძე ლენინის ერთერთი პირველი ძეგლის ბრინჯაოს მოდელი.

●●

ინტყობინება საკლესი

▲ ერევანი. 80 წლის თვითნასწავლი ხელატვრის ასატურ ჩერმაკიანის დიდ და რთულ ცხოვრებას ასახავს მისი პირველი პერსონალური გამოფენა, რომელიც ერევანში გაიხსნა. თითქმის მთელი ცხოვრება მხატვარმა უცხოეთში გაატარა, სადაც დიდ გაჭირვებას განიცდიდა, დაბრუნდა სომხეთში და გაოცებული დარჩა იმით, რაც საშობლოში დახვდა. ხალხის საამური, ბედნიერი ცხოვრება მისი შემოქმედების ძირითადი თემა გახდა. თავის მთავარ ნაშუშევარს — მონუმენტურ ფრესკას, რომელმაც ერევნის პარკი დაამშვენა, ოსტატმა ზუსტი სახელწოდება შეურჩია — „პოემა სამშობლოზე".

▲ თბილისი. ნათესების დაშუშავებაზე დახარჯულ მებამბეთა საუკეთესო მომსახურებისათვის კუვის რაიონის კოლმეურნეობა „უზბეკისტანის" კომბლექსური რაზმის მზარეულის ტ. ნორმატოვის ფოტოსურათი რაიონულ საპატიო დაფაზეა გამოკრული. 2.500 მზარეული შრომობს ახლა კომბლექსური რაზმების მექანიზატორებთან ერთად, რომლებიც მებამბეობის მეურნეობებშია შექმნილი ბამბაღებელ მეთოდით. წელს მნიშვნელოვნად გაფართოვდა საზოგადოებრივი კვების სტაციონარულ საწარმოთა ქსელი, ყველა დიდმა სასადილომ მოაწყო ცხელი კერძების მიწოდება სავალე ბანაკებში.

▲ ნოვგოროდი. ტყის თვალწარმტაცი ტბის ნაპირას განლაგებულმა ახალმა ტურბაზამ „ოსტროვენსკიემ" მიიღო მოგზაურობის და ექსკურსიების პირველი მოყვარულნი. ბავშვიანი მშობლების დასვენებისათვის აშენებულ ბაზაში ეწყობა ექსკურსიები ა. ვ. სუვოროვის მუზეუმ-ნაკრძალში, ქვეითად და ნავით სეირნობა.

ქართველი

ᲓᲦᲔᲡ

თბილისში

იწყება

ᲐᲤᲮᲐᲖᲣᲠᲘ

მუსიკის

დღეები

ძმობის მუსიკა

საქართველოში აფხაზური მუსიკის დღეებთან დაკავშირებით „კომუნისტის" კორესპონდენტს ესაუბრება აფხაზეთის კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ და აფხაზეთის ასსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე სპენდლანა ქეცბა:

—ამ ღირსშესანიშნავ ღონისძიებას საქართველოს კომპოზიტორთა კავშირთან ერთად ვაწყობთ. ჩვენ არაერთი კარგი ღონისძიება ჩაგვიტარებია საერთო ძალებით. აფხაზეთის კომპოზიტორთა კავშირი, რომელიც სულ რამდენიმე წლის წინათ დაარსდა, ყოველთვის გრძნობს საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის მხარდაჭერასა და ძმურ დამოკიდებულებას. ამ ურთიერთობის კიდევ ერთი გამოხატულებაა საქართველოში აფხაზური მუსიკის დღეების გამართვა, რომელიც 1 ივლისამდე გაგრძელდება.

დღეს თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში აფხაზეთის სახელმწიფო საგუნდო კაპელა სიმფონიურ ორკესტრთან ერთად წარსდგება დედაქალაქის მუსიკის მოყვარულთა წინაშე, ხოლო ხვალ კაპელა რუსთაველი გამართავს კონცერტს. 30 ივნისს კაპელა ისევ თბილისში, ამჯერად კონსერვატორიის მცირე დარბაზში გამოვა, 1 ივლისს კი თელაველ მშრომელებს ვესტუმრებით. კონცერტებზე შესრულდება აფხაზი კომპოზიტორების ა. ჩიჩბას, რ. გუმბას, კ. ჩენგელაიას, მ. ბერიკაშვილის, ლ. ჩეკელიანსკის, პ. პეტროვის, ვ. ქკადუას და ტ. ანაბუას ნაწარმოებები.

ბოლო წლებში აფხაზურმა მუსიკამ გარკვეულ წარმატებებს მიაღწია. ეს განსაკუთრებით ითქმის საგუნდო ჟანრზე. საგულისხმოა, რომ საქართველოს კომპოზიტორთა კავშირისა და განათლების სამინისტროს დახმარებით სოხუმში ბავშვთა ინტერნაციონალური გუნდიც კი შეიქმნა. აფხაზი კომპოზიტორები თავიანთ ნაწარმოებებში ადიდებენ დღევანდელობას, პარტიას, მშრომელ ადამიანს, მეგობრობისა და ინტერნაციონალიზმის დიად გრძნობას.

ეს დღეები კიდევ ერთხელ დაადასტურებს, თუ რა ძალა აქვს ძმობის მუსიკას.



ბუნების მბრძანებელნი

თუ შეიძლება დღეს ვინმეს ბუნების მბრძანებელი ვუწოდოთ, ეს ეპითეტი, უწინარეს ყოვლისა, დაიმსახურეს ამერიკავკასიის ჰიდრომეტეოროლოგიური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერებმა, რომლებიც პოლიგონ „იორზე" ხელოვნური წვიმის გამოწვევის პრობლემას წყვეტენ.

ქართველი ჰიდრომეტეოროლოგები, რომლებიც ღირსეულად განაგრძობენ ყოფილი თბილისის გეოფიზიკური ობსერვატორიის შემოქმედებითს ტრადიციებს, წარმატებით მუშაობენ მეტეოროლოგიური, აგრომეტეოროლოგიური, ჰიდრომეტეოროლოგიური პროგნოზირების და მავნე ჰიდრომეტეოროლოგიურ მოვლენებზე აქტიური ზემოქმედების საკითხებზე.

აქ დიდი ყურადღება ექცევა სამრეწველო ნარჩენებით და შხამქიმიკატებით სამრეწველო ცენტრების ატმოსფეროს, მდინარეების, წყალსაცავების, აგრეთვე ნიადაგების გაჯუჯყიანების პროგნოზის მეთოდის შემუშავებასა და სრულყოფას.

ინსტიტუტი არა მარტო ამიერკავკასიის, არამედ მთლიანად სსრ კავშირის ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის მასშტაბით ბევრ პრობლემას წყვეტს.

სურათებზე: ზემოთ — ამიერკავკასიის ჰიდრომეტეოროლოგიური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შენობის ხედი; ქვემოთ —ინჟინერი ნ. წერეთელი; ოპერატორები ნ. ჭურციძე და ლ. იაძე ინსტიტუტის ელექტრონულ-გამოთვლითი მანქანების ლაბორატორიაში მუშაობის დროს.

ა. სააკოვის ფოტო.

დაიწყო პურეულის მკა

გარდაბანი. („კომუნისტის" კორ.). თელეთის ექსპერიმენტულ საბჭოთა მეურნეობაში (დირექტორი ა. რახმაძე) წლეულს თავთავიანი მარცვლეული კულტურების უხვი მოსავლის მისაღებად ძალოხე არ დაზოგეს და შედეგიც კარგია. მოსავლის აღების პირველსავე დღეს კომბაინერებმა შ. თურმანიძემ და ა. მახნაშვილმა 9-9 ჰექტარი ქერი მომკეს და სამუალოდ ჰექტარზე 30 ცენტნერი მარცვალი გალეწეს, რაც გეგმას 7 ცენტნერით ჭარბობს.

თელეთელმა მხვნელ-მთესველებმა გადაწყვიტეს თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავლის აღება 12 სამუშაო დღეში დაამთავრონ.

მკასთან ერთად დაიწყო ნაწვეროლზე სიმინდის თესვა. უკვე დაითესა პირველი ათეული ჰექტარი.

ხუთწლედი — ვადამდე!

ახალგაზრდა მუშის ინიციატივა

ლენინგორი. („კომუნისტის" საკ. კორ. გ. თედეევი). თბილისის მეორე ტრიკოტაჟის ფაბრიკის ლენინგორის სამკერვალო სამქროს მოწინავე მუშაა ეთერ ჭურთაული. იგი ყოველთვიურ დავალებებს გადაჭარბებით ასრულებს. ექვსი თვის დავალება კარგა ხანია შეასრულა.

მოწინავე მუშამ განიზრახა თავისუფალი დრო, დასვენების დღეები სასოფლო-სამეურნეო ფულტურების უხვი მოსავლის მოყვანას მოახმაროს. მან მოსავლელად გაიპიროვნა 1000-1000 კვადრატული მეტრი ბოსტანი და სიმინდის ყანა, სადაც უხვი მოსავლის მოწევას აპირებს.

ეთერის მაგალითს მიბაძეს აგრეთვე ამ სამქროს მოწინავე მკერავებმა მ. ილურიძემ, ნ. ქოსიევამ, ნ. ჩიტიშვილმა, ზ. ქასტევამ.

იდეოლოგიური მუშაობის მაღალი ქმედითობისათვის

საქართველოს პარტიული აქტივის კრება

იდეოლოგიური მუშაობა უნდა ავიყვანოთ უფრო მაღალ თვისებრივ დონეზე, რომელიც შეესაბამება განვითარებული სოციალიზმის საზოგადოების მოთხოვნებს, კომუნისტური მშენებლობის ახალ ამოცანებს, — ეს აზრი წითელ ზოლად გასდევდა საქართველოს პარტიული აქტივის კრებას, რომელშიც მონაწილეობდნენ რესპუბლიკის და მისი დედაქალაქის იდეოლოგიური მუშაკები. მრავალმხრივი, კომპლექსური მიდგომა ახასიათებდა კაჰათის მონაწილეთა გამოსვლებს, რომელიც დაიწყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ე. ა. შევარდნაძის მოხსენების გამო — „რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების ამოცანები იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ" სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესასრულებლად".

როცა ვიფასებთ ავტონომიურ რესპუბლიკაში იდეურ-პოლიტიკური მუშაობის მდგომარეობას, თქვა საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ბ. ვ. **ადლეიბამ,** ჩვენ ყველა საფუძველი გვაქვს განვაცხადოთ, რომ უკანასკნელ წლებში პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა მიაღწიეს მათი ქმედითობისა და შედეგიანობის ამაღლებას, აფხაზეთის შრომითს კოლექტივებში საჭირო საზოგადოებრივ-პოლიტიკური ატმოსფეროს შექმნაზე ჩვენი იდეოლოგიური ინსტიტუტების გავლენის გაძლიერებას.

აღებული კურსის სისწორეს, გაწეული მუშაობის ეფექტიანობას მკაფიოდ ადასტურებს ეკონომიკისა და კულტურის განვითარების სწრაფი ტემპი, რაც აფხაზეთის ასსრ მშრომელთა ინტერნაციონალურმა ოჯახმა უზრუნველყო როგორც მეცხრე ხუთწლედში, ისე მეათე ხუთწლედის განვლილ პერიოდში. მიღწეული წარმატებები ავტონომიურ რესპუბლიკაში მცხოვრები ყველა ერისა და ეროვნების წარმომადგენელთა შეკავშირების, ურღვევი მეგობრობის შედეგია.

ამხ. ადლეიბამ თქვა, რომ მშრომელთა პატრიოტული და ინტერნაციონალური აღზრდა ჩვენგან მოითხოვს მაქსიმალურ დაკვირვებასა და ყურადღებას, განსაკუთრებულ ტაქტს იდეოლოგიური მუშაობის დროს. ამ პრობლემების აქტუალობა განსაკუთრებით იგრძნობა ახლა — აფხაზეთის ასს რესპუბლიკის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ცნობილ დადგენილებათა აქტიური განხორციელების პერიოდში. საქმე ის არის, რომ აღმშენებლობის უდიდესი პროგრამის განხორციელებისას საჭიროა ავტონომიური რესპუბლიკის თითოეული კომუნისტის, თითოეული მშრომელის მთელი ძალებისა და ენერგიის, გამოცდილებისა და ცოდნის მობილიზაცია.

ფიზიზლად ვიფასებთ საკუთარ ნაკლოვანებებს და ვეყრდნობით რა შეძენილ დადებითს გამოცდილებას, თქვა დასასრულ ორატორმა, ჩვენ მტკიცედ გვაქვს გადაწყვეტილი გავააქტიუროთ პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების იდეოლოგიური მუშაობა, ავამაღლოთ პარტიული და ეკონომიკური სწავლების დონე, გავაძლიეროთ პრესის, რადიოსა და ტელევიზიის გამოსვლების ქმედითობა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ", თქვა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანმა **ნ. ვ. გურგენიძემ,** თითოეული ჩვენგანისათვის „სიბრძნის წყაროა", რომელსაც უნდა დავეწაფოთ ცოდნის გამოცდილების შესაძენად, ყური ვუგდოთ მის რჩევას. მან გაამდიდრა ჩვენი იდეოლოგიური არსენალი, გააფართოვა შემოქმედებითი აქტიურობის ჰორიზონტები, სტიმული მისცა მუშაობის გაუმჯობესების ახალი გზების ძიებას, აღგვიძრა სურვილი კრიტიკულად გადაგვესინჯა ადამიანებთან მუშაობის შინაარსი და მეთოდები.

პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტმა თავის პლენუმზე უკვე დაამტკიცა ამ მიმართულებით მოქმედების კომპლექსური გეგმები. ასეთივე გეგმები შემოაქვთ ახლა პარტიის რაიონულ კომიტეტებში. ცენტრალური კომიტეტის დადგენილების მიღების შემდეგ განვლილ მოკლე დროში ვცადეთ ჩვენი პრაქტიკული საქმიანობის მთელი სიმძიმე გადაგვეტანა პროპაგანდისტული და აღმზრდელობითი მუშაობის ქმედითობისა და კონკრეტულობის გაზრდაზე, სამეურნეო და პოლიტიკურ ამოცანებთან მისი კავშირის განმტკიცებაზე.

დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებს ისეთი ღონისძიებანი, თქვა ორატორმა, როგორიც არის მუშათა ახალგაზრდული თეატრის გახსნა გლდანის მასივში, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროსა და საქარხნო და ლენინის რაიონების მშრომელთა თანამშრომლობის ახალ ხელშეკრულებათა დადება, შემოქმედებითს კავშირებთან, კულტურის დაწესებულებებთან, მშრომელთა კოლექტივების და სასწავლებლების სამხატვრო ურთიერთობის ახალი ფორმების განსაზღვრა. ამჟამად მთავარია შევიმუშაოთ მათი რეალიზაციის სისტემა, კარგად მოვიფიქროთ და მეცნიერულად დავასაბუთოთ ყოველი სიახლე.

ორატორმა თქვა, რომ საჭიროა იდეოლოგიურ საქმიანობაში აქტიურად გამოვიყენოთ ქალაქის დიდი მეცნიერული პოტენციალი, უკეთ შევარჩიოთ კადრები აღმზრდელობითი მუშაობის პასუხსაგებ პოსტებზე, მეტი ყურადღება დავუთმოთ ახალგაზრდობასა და მოზარდთა აღზრდას. ამჟამად პარტიის საქალაქო კომიტეტი და რაიონული კომიტეტები, ასრულებენ რა XXXVII საქალაქო პარტიული კონფერენციის მოწოდებას „გადავაქციოთ თბილისი სანიმუშო კომუნისტურ ქალაქად", განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ ყველა კატეგორიის მოსახლეობასთან, მუშაობას საცხოვრებელ, სამუშაო, სწავლის ადგილებზე და ფართოდ აბამენ ამ მუშაობაში ყველა საზოგადოებრივი ორგანიზაციისა და აღმინისტრაციული ორგანოს წარმომადგენლებს.

სიტყვა ეძლევა ზუგდიდის რაიონის სოფელ ცაბათის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს **ჯ. გუგუჩიას.** იგი ამბობს: ჩვენი კოლმეურნეობა, რომელიც კ. მარქსის სახელს ატარებს, რაიონის ერთ-ერთი მსხვილი მრავალდარგოვანი მეურნეობაა. მეურნეობაში 130 კომუნისტი და სამასზე მეტი კომკავშირელია, რომლებიც გაერთიანებული არიან პარტიული, კომკავშირული და ეკონომიკური განათლების სკოლებსა და სემინარებში, სადაც მეცადინეობა იმის მნიშვნელოვანი პირობაა, რომ გაიზარდოს შრომელთა ინიციატივა და შრომითი აქტიურობა, პარტიის XXV ყრილობის წინასწარდასაბუთებათა წარმატებით შესრულებისათვის ბრძოლაში.

კოლმეურნეობის პარტიულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა უკანასკნელ ხანს შესამჩნევად გააუმჯობესეს პარტიულ-ორგანიზატორული და იდეოლოგიური მუშაობა, რაც საშუალებას გვაძლევს დიდ წარმატებებს მივაღწიოთ სოციალური და ეკონომიკური განვითარების გეგმების შესრულებაში. მეურნეობის მთლიანი შემოსავალი 1972 წელთან შედარებით სამჯერ გაიზარდა და წლევანდელი წლის დამდეგისათვის სამ მილიონ მანეთს გადააჭარბა.

კოლმეურნეობის ეკონომიკის ზრდა საშუალებას გვაძლევს გარდავქმნათ ჩვენი სოფელი, დიდი სახსრები გამოვყოთ სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებებსა და სკოლების მშენებლობისათვის. უკანასკნელ ხანს ჩვენთან აშენდა სამი საბავშვო ბაღი, სამეურნეოთათვისო პოლიკლინიკა, კულტურის სასახლე, სტადიონ-იპოდრომი, კეთილმოწყობილია ოცი კილომეტრი და მოასფალტებულია რვა კილომეტრი სოფლის შარაგზა. ჩვენთან მუშაობს ოთხი ბიბლიოთეკა, რომელთა ფონდი 17 ათასი დასახელების წიგნია. სოფლის ცენტრს აშენებს გახანგრძლივებული სწავლების საშუალო სკოლის შენობა 710 მოსწავლისათვის. სკოლის მოსწავლეებს კოლმეურნეობა უზრუნველყოფს ორკერადი უფასო კვებით. სკოლასთან გახსნილ მუსიკალურ შვიდწლედსა და ქორეოგრაფიულ სტუდიაში 220 მოსწავლეა გაერთიანებული.

კოლმეურნეობის სახსრებით შენდება გახანგრძლივებული სწავლების მეორე საშუალო სკოლა 350 მოსწავლისათვის. მოზარდ თაობაზე ასეთმა ზრუნვამ დადებითი შედეგები მოიტანა: უკანასკნელ წლებში სკოლის 130 კურსდამთავრებული დარჩა მშობლიურ სოფელში, წელს კი 42-ვე მეათეკლასელმა გადოთქვა სამუშაო მშობლიურ კოლმეურნეობაში დარჩენის სურვილი.

აჭარის საოლქო პარტიულ ორგანიზაციაში, თქვა საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანმა **ნ. ვ. გუგუნავამ,** შეიქმნა იდეოლოგიური მუშაობის ორგანიზაციის მწყობრი სისტემა. განუწყვეტლივ იხვეწება მისი ორგანიზაციული ფორმები და მეთოდები, ფართოვდება მასობრივ-პოლიტიკური აქტივის რიგები, ყოველწლიურად ორჯერ ტარდება ლექტორთა ჯგუფების ანგარიშები. ამჟამად ოლქში 1.500 ლექტორია, მათ შორის 1.000 კომუნისტი. ლექტორთა ჯგუფების ანგარიშებზე ხშირად მოწვეულნი არიან ცნობილი მეცნიერები, ხელოვნების მოღვაწეები, ჟურნალისტები.

(დასასრული მე-2 გვ.)

საკავშირო პროფსაბჭოს პლენუმი

27 ივნისს მოსკოვში გაიხსნა საკავშირო პროფსაბჭოს პლენუმი. პლენუმი იხილავს პროფესიული კავშირების მუშაობას სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებისა და სსრ კავშირის პროფკავშირთა XVI ყრილობაზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვაში დასახული ამოცანების შესასრულებლად. დღის წესრიგშია აგრეთვე პროფკავშირული ორგანიზაციების ამოცანები „იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შესახებ" სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესასრულებლად. პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარემ ა. ი. შიბაევმა.

პლენუმი ორ დღეს გასტანს.

(საკდესი).

მნიშვნელოვანი სოციალური ამოცანა

კიევი, 27 ივნისი. (საკდესი). დღეს კიევში მუშაობა დაამთავრა უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს სესიამ. დეპუტატებმა განიხილეს საკითხი რესპუბლიკის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების მდგომარეობისა და სსრ კავშირის კონსტიტუციისა და უკრაინის სსრ კონსტიტუციის დებულებებისა და ჯანმრთელობის დაცვის შესახებ უკრაინის სსრ კანონის შესაბამისად მისი შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.

სესიის მუშაობაში მონაწილეობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ვ. შჩერბიცკი.

შეხვედრა მოსკოვში

26 ივნისს ტოკიოში მიმავალი დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი მ. ტეტჩერი მოსკოვში ჩამობრდა. ეროპორტში პრემიერ-მინისტრს დახვდნენ და გააცილეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ვ. ე. დიმიჩევმა, სამოქალაქო ავიაციის მინისტრმა ბ. პ. ბუგაევმა და სხვა ოფიციალურმა პირებმა.

ა. ნ. კოსიგინსა და მ. ტეტჩერს შორის გაიმართა საუბარი, რომლის დროსაც შეეხნენ საბჭოთა კავშირ-ბრიტანეთის ურთიერთობის ამსებითს საკითხებსა და საერთაშორისო პრობლემებს.

ორივე მხარემ მხარი დაუჭირა საერთაშორისო დაძაბულობის შენელების განგრძობას, გამაღებული შეიარაღების შეკავებას, განიარაღებაზე გადასვლას. კმაყოფილება გამოითქვა საბჭოთა კავშირ-ამერიკის ვენის უმაღლესი დონის შეხვედრის შედეგების, სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის შესახებ ხელშეკრულების დადების გამო.

ა. ნ. კოსიგინმა და მ. ტეტჩერმა დაადასტურეს, რომ ორივე სახელმწიფო აპირებს განავითაროს ურთიერთობა იმ მიმართულებით, რომელიც შეესაბამება საბჭოთა კავშირისა და დიდი ბრიტანეთის ხალხთა ინტერესებს. (საკდესი).

მეგობრული საუბრები

26 ივნისს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ მიიღო ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ფან ხიენი, რომელიც საკონსულტაციოდ ჩამოვიდა მოსკოვში როგორც ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს მეთაური.

საუბრის დროს, რომელმაც ძმური მეგობრობისა და სრული ურთიერთგაგების ვითარებაში ჩაიარა, ა. ა. გრომიკომ და ფან ხიენმა განიხილეს საბჭოთა კავშირ-ვიეტნამის ურთიერთობის შემდგომი განვითარების საკითხები, ერთმანეთს გაუზიარეს აზრი სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის მდგომარეობის შესახებ და ორივე მხარისათვის საინტერესო სხვა საერთაშორისო პრობლემებზე. ფან ხიენმა მაღალი შეფასება მისცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევისა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯ. კარტერის ვენის შეხვედრის შედეგებს.

ორივე მხარემ დაადასტურა, რომ უცვლელია სსრ კავშირისა და ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის კურსი, რომლის მიზანია ორი ქვეყნის ურღვევი მეგობრობისა და მჭიდრო თანამშრომლობის ყოველმხრივი განმტკიცება.

□

იმავე დღეს ა. ა. გრომიკომ მიიღო ერაყის რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში მურთადა საიდ აბდელ ბაკი. მეგობრული საუბრის დროს განიხილეს საბჭოთა კავშირ-ერაყის ურთიერთობისა და ახლო აღმოსავლეთის მდგომარეობის საკითხები.

(საკდესი).

გულითადობის ვითარებაში

26 ივნისს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა მ. ა. სუსლოვმა მიიღო გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული თავდაცვის მინისტრი არმიის გენერალი გ. ჰოფმანი, რომელიც საბჭოთა კავშირში ჩამოუძღვა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო დელეგაციას.

გაიმართა საუბარი, რომლის დროსაც განიხილეს საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეგობრობისა და თანამშრომლობის შემდგომი განვითარების საკითხები, აგრეთვე აქტუალური საერთაშორისო პრობლემები.

საუბარმა გულითად მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა. მასში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი საბჭოთა კავშირის მარშალი დ. თ. უსტინოვი, აგრეთვე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში ჰ. ოტი. (საკდესი).

იდეოლოგიური მუშაობის მაღალი ჟღერადობისათვის

(დასასრული)

იული მექანიზმის ყოველი რგოლი, სტილი და მეთოდები, ინერგება ცხოვრებით ნაკარნახევი სიახლენი. ავტონომიურ რესპუბლიკაში მომუშავე მეცნიერთა ძალებით პარტიის საოლქო კომიტეტთან შეიქმნა საპრობლემო საბჭო, რომელიც შეიმუშავებს იდეოლოგიური საქმიანობის ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლების პრობლემებს. კომპლექსური მიდგომა და პერსპექტიული დაგეგმვა საშუალებას გვაძლევს სწორად განვსაზღვროთ იდეოლოგიური მუშაობის ძირითადი მიმართულებანი, რაციონალურად შევთანხმოთ პროპაგანდისა და აგიტაციის საშუალებათა საჭიროება.

ამასთანავე ამბ. ა. გუგუნავამ აღნიშნა, რომ საოლქო პარტიული ორგანიზაციის იდეოლოგიურ მუშაობაში ჯერ კიდევ ბევრი ნაკლი და გადაუჭრელი პრობლემაა. საინფორმაციო და აღმზრდელობითს მუშაობაში მთლიანად არ ითვალისწინებენ თანამედროვე საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური და სულიერი ცხოვრების დინამიკურ განვითარების პრობლემებს. იდეოლოგიური ფრონტის ყველა რგოლი როდი შეესაბამება განვითარებული სოციალიზმის პირობებში ახალი ადამიანის ჩამოყალიბების საჭიროებებს, როგორც ამას ჩვენგან მოითხოვს სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება. თუ ღრმად გავაანალიზებთ ნაკლოვანებათა მიზეზებს, დავრწმუნდებით, რომ ამ ტიპის საპრობლემო საბჭო, რომელიც შეიმუშავებს იდეოლოგიური საქმიანობის ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლების პრობლემებს. კომპლექსური მიდგომა და პერსპექტიული დაგეგმვა საშუალებას გვაძლევს სწორად განვსაზღვროთ იდეოლოგიური მუშაობის ძირითადი მიმართულებანი, რაციონალურად შევთანხმოთ პროპაგანდისა და აგიტაციის საშუალებათა საჭიროება.

ჩვენ სათანადო დასკვნები გამოვიტანეთ, თქვა შემდეგ ორატორმა, და პრაქტიკაში შემოვიღეთ საქალაქო კომიტეტის მდივნების სისტემატური შეხვედრები მუშებთან უშუალოდ საწარმოებში. შეხვედრები დაგეხმარა აღმოგვეჩინა არსებითი ნაკლოვანებანი საქალაქო აღმასკომის კომუნალური მეურნეობის განყოფილებაში, ვაჭრობასა და საზოგადოებრივ კვებაში. ეს საკითხები პარტიის საქალაქო კომიტეტის ბიუროს მსჯელობის საგანი გახდა.

სამწუხაროდ, განაგრძო ორატორმა, ჩვენ ზოგჯერ გვერდს ვუვლით, ურეაგირებოდ ვტოვებთ უხნობის ისეთ გამოვლინებებს, როგორიც არის სხვისი შემყურეობა, ცინიზმი, პირფერობა, ადამიანის უპატივცემლობა. და გასაკვირი არ არის, რომ მრავალი ასეთი უხნეო ადამიანი შემდგომში დემაგოგი და კარიერისტი, მაბეზღარა და ავყია ხდება.

იდეურ-პოლიტიკურ აღზრდაში არსებული ნაკლოვანებანი იმითაც აიხსნება, რომ პარტიული ორგანიზაციები სრულად არ იყენებენ კადრების პოლიტიკური სწავლებასა და ეკონომიკურ განათლებას, ლექციებსა და საუბრებს მეშჩანობისა და წვრილებურჟუაზიული ფსიქოლოგიის მატარებელ კონკრეტულ პირთა კრიტიკისათვის.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა **ა. ს. ფრანგიშვილმა** აღნიშნა, რომ პარტია მეტს მოელის საზოგადოებათმცოდნეთაგან პროპაგანდისა და აგიტაციის მაღალი მეცნიერული დონის უზრუნველყოფის ამოცანის გადაწყვეტაში.

რესპუბლიკის ცხოვრებაში უკანასკნელ ხანს მომხდარი დიდი ძვრების შედეგად იდეოლოგიური მუშაობის, მეცნიერული აზრის განვითარების საკითხები საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მუდმივი ყურადღების, მხარდაჭერისა და ზრუნვის საგანი გახდა. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებათმცოდნეობის ინსტიტუტებში მნიშვნელოვნად ამაღლდა იდეოლოგიური და პოლიტიკურ-აღმზრდელობითს მუშაობასთან დაკავშირებული პრობლემების მეცნიერული კვლევის დონე.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ყველა საზოგადოებათმცოდნეობის ინსტიტუტში შეიქმნა პოლიტიკური და იდეოლოგიური პრობლემების, საზღვარგარეთის იდეოლოგიურ მიმდინარეობათა პრობლემების შემსწავლელი განყოფილებანი. მათ დიდმნიშვნელოვან წვლილი შეიტანეს მეცნიერული კომუნიზმის, მარქსიზმ-ლენინიზმის ერთ-ერთ სკოლაში მეცადინეობა ჩაატარა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ. როგორც ამ სკოლის ერთ-ერთმა მსმენელმა, მინდა აღვნიშნო, რომ ეს მეცადინეობა მნიშვნელოვან მოვლენად იქცა, რადგან აქ აღძრა როგორც იდეოლოგიური მუშაობის, ისე წარმოების, ცხოვრების ყველა სფეროს ბევრი აქტუალური საკითხი.

სკოლის ოცივე მსმენელმა და მათი ბრიგადების წევრებმა გამოიჩინეს ინიციატივა, რომ ვადამდე, ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავისათვის დაამთავრონ მეათე ხუთწლეულის დავალებანი. საინტერესო თაოსნობა გამოიჩინა პროპაგანდისტთა ჯგუფმაც, რომელმაც მიზნად დაისახა შეისწავლოს გამოუყენებელი შინაგანი რეზერვები. ეს სამუშაო ჯერჯერობით არ დამთავრებულა, მაგრამ უკვე წინასწარი გაანგარიშებით შეიძლება ითქვას, რომ ეს რეზერვები დაეხმარება საწარმოო გაერთიანების „ელმავალმშენებლის“ კოლექტივს წლის ბოლომდე სამმობლოს ნაკისრი ვალდებულებათა გადაჭარბებით მისცეს ნახევარი მილიონი მანეთის პროდუქცია. სწორედ ეს არის პოლიტიკური სწავლების ქმედითობა, ცხოვრებასთან, წარმოების საარსებო პრობლემებთან მისი მჭიდრო კავშირი.

თავის გამოსვლაში ორატორმა თქვა, რომ საკმაოდ ზუსტად არ მუშაობენ ადმინისტრაციული ორგანოები, რომ უკანასკნელ ხანს გაზშირდა თათბირები და სხდომები, რომელთა გამო ძირითად საქმეს სწყდებიან მუშაკები. უკეთ მუშაობენ ჩვენი მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი, მაგრამ არცთუ იშვიათად შეგხვდებათ მშრალად, კანცელარიული ენით დაწერილი მასალები.

საქართველოს კომპარტიის ცხინვალის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა **ა. თ. კოზაგმა**, რომელმაც დაახასიათა იდეოლოგიური მუშაობის გარკვეული მიღწევები, თავის გამოსვლაში ძირითადი ყურადღება მშრომელთა კომუნისტური აღზრდის ნაკლოვანებებს დაუთმო.

პარტიულმა ორგანიზაციებმა, თქვა მან, ჯერ კიდევ ცოტა რამ გააკეთეს იდეურ-პოლიტიკური, შრომითი და ზნეობრივი აღზრდის ერთიანობის უზრუნველყოფის შესახებ სკკპ XXV ყრილობის მითითებათა პრაქტიკული განხორციელებისათვის. ამ საქმეში ჯერ კიდევ ვერ მივაღწიეთ პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანიზაციების, პროფკავშირებისა და კომკავშირის ღონისძიებათა კოორდინაციას. იმას, რომ ჩვენი პროპაგანდა ჯერ კიდევ ყოველთვის ვერ ახერხებს საზოგადოების ანტიპოდებთან შეტევითს ბრძოლას, მოწმობს ახლახან გამოშკარავებული ფაქტები, როგორიც არის სახელმწიფო სახსრების განიავება გამწვანების კანტორაში, სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება საქალაქო კავშირგაბმულობის კვანძში, დამნაშავენი დასასჯელად, მაგრამ ხომ არ შეიძლება, რომ არაჯანსაღ გამოვლინებათა შესახებ სიგნალებს კომუნისტებამდე არ მიეღწია. ამ ორგანიზაციებში ხშირად ყოფილან პარტიის საქალაქო კომიტეტის მუშაკებიც. რატომ გამოიჩინეს მათ გულგრილობა ამ ფაქტებისადმი?

ჩვენ სათანადო დასკვნები გამოვიტანეთ, თქვა შემდეგ ორატორმა, და პრაქტიკაში შემოვიღეთ საქალაქო კომიტეტის მდივნების სისტემატური შეხვედრები მუშებთან უშუალოდ საწარმოებში. შეხვედრები დაგეხმარა აღმოგვეჩინა არსებითი ნაკლოვანებანი საქალაქო აღმასკომის კომუნალური მეურნეობის განყოფილებაში, ვაჭრობასა და საზოგადოებრივ კვებაში. ეს საკითხები პარტიის საქალაქო კომიტეტის ბიუროს მსჯელობის საგანი გახდა.

სამწუხაროდ, განაგრძო ორატორმა, ჩვენ ზოგჯერ გვერდს ვუვლით, ურეაგირებოდ ვტოვებთ უხნეობის ისეთ გამოვლინებებს, როგორიც არის სხვისი შემყურეობა, ცინიზმი, პირფერობა, ადამიანის უპატივცემლობა. და გასაკვირი არ არის, რომ მეცნიერებათა აკადემიის ზოგიერთ ინსტიტუტში ყოფილან ისეთი ხელმძღვანელები, რომელთა ირგვლივ ჯგუფდებოდნენ ადამიანები, რომელნიც ხელსაყრელ მომენტში ღალატობდნენ თავიანთ მეგობრებს, ხელს აწერდნენ ისეთ დოკუმენტებზე, რომელთა ხელმოწერაზე უარის თქმა ფიქრადაც არ მოსდიოდათ. ასეთი ადამიანები ხელს უწყობდნენ ისეთი ხელმძღვანელების წინსვლას

საერთაშორისო ცხოვრება
დილის ზარი

თანამეგობრობის დიადი ძალა

(დასასრული)

აღმშენებლობითი საქმიანობის განგრძობის აუცილებელი წანაძღვარია მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცება. ამ გზაზე დიდი ნაბიჯი გახდა სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის მეორე ხელშეკრულების ხელმოწერა.

ჩვენი მიზანია ავაშენოთ განვითარებული სოციალისტური საზოგადოება. ეს უნარეულ ხალხს შესანიშნავ პერსპექტივებს და ამავე დროს სულ უფრო რთულ ამოცანებს უსახავს. ჩვენ მტკიცედ გვაქვს გადაწყვეტილი კვლავაც, ისევე როგორც უკანასკნელი სამი ათწლეულის მანძილზე, გადავწყვეტოთ ისინი მოძმე ქვეყნებთან მჭიდრო ერთიანობით, განუხრელად განვავითაროთ ორმხრივ სარგებლობაზე დაფუძნებული ეკონომიკური თანამშრომლობა, ამასთან გამოვიყენოთ ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს მამობილიზებელი როლი.

უნარეთის სოციალისტური მუშათა პარტიისა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის ხელმძღვანელებმა განაცხადეს, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოსახლეობა მთელისმიერ ძალისხმევას მოახსენებს სოციალისტურ კომუნისტურ პარტიას, მოძმე ქვეყნების კომუნისტურ და მუშათა პარტიებს ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ფარგლებში თანამშრომლობის განმტკიცებისათვის, სოციალისტური ეკონომიკური ინტეგრაციის განვითარებისათვის. ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ფარგლებში თანამშრომლობა კვლავაც იქნება თანამეგობრობის ქვეყნების წარმატებული განვითარების, მათი ხალხების აყვავების წყარო.

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის ე. ჰონეკერის მისასალმებელი ადრესი გადასცა სხდომის მონაწილეებს დელეგაციის მეთაურმა **ვ. შტოფმა.** გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს 30-ე წლისთავს და რესპუბლიკის ოცდამეათე წლისთავს ერთდროულად აღნიშნავენ. ორივე ეს მოვლენა ახასიათებს ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულ ისტორიულ პროცესებს. ისტორიამ დაადასტურა, რომ ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრობა გერმანიის მაწარმოებელ ძალთა ბუნებრივი განვითარების ინტერესებს შეესაბამება. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა კვლავაც აქტიურად შეუწყობს ხელს ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების კავშირის შემდგომ განმტკიცებას, სოციალიზმის დამკვიდრებას.

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხელმძღვანელობა განაცხადა, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოსახლეობა და ამერიკის შეერთებული შტატების სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის ხელშეკრულების ხელმოწერას.

ოცდაათი წლის წინათ ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს შექმნამ დაადასტურა ის ფაქტი, რომ სოციალიზმი, როგორც სოციალურ-ეკონომიკური სისტემა, ნიშნავს ძირეულ ცვლილებას საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობაში, განაცხადა კუბის რესპუბლიკის დელეგაციის მეთაურმა **კ. რ. როდრიგესმა.** მან დიდი ყურადღება დაუთმო იმ ურთიერთობის ანალიზს, რომელიც ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ფარგლებში აქვთ ყველაზე განვითარებულ და ისეთ ქვეყნებს, როგორიც არის, მაგალითად, კუბა, რომლებსაც ჯერ კიდევ ვერ აღმოუფხვრიათ სუსტი განვითარების შედეგები.

მონღოლეთი, კუბა და ვიეტნამი მაგალითი იყო ჩამორჩენილობისა, რომელიც ამ ქვეყნებს მემკვიდრეობად დაუტოვა მრავალი საუკუნის კოლონიურმა და ნეოკოლონიურმა ბატონობამ. ახლა ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ფარგლებში თანამშრომლობის შედეგად ისინი განამტკიცებენ ეკონომიკას, აუმჯობესებენ მოსახლეობის კეთილდღეობას. ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭო მიმზიდველი ძალა გახდა განვითარებადი სახელმწიფოებისათვის.

ახლა, როცა ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს 30-ე წლისთავს აღვნიშნავთ, თქვა ჯ. რ. როდრიგესმა, მინდა კიდევ ერთხელ გავუსვა ხაზი იმ ისტორიულ როლს, რომელსაც სსრ კავშირი ასრულებს მშვიდობის, თავისუფლების, ეროვნული დამოუკიდებლობისა და პროგრესისათვის ბრძოლაში.

ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს სესიის XXXIII სხდომის მონაწილეებისადმი ლ. ი. ბრეჟნევის მისასალმებელი წერილის გამო გულწრფელი სიხარულისა და ქმაყოფილების გრძნობები გამოთქვა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციის მეთაურმა **ჟ. ბატმუნხმა.** მან განაცხადა, რომ ეს მისასალმებელი წერილი გამსჭვალულია ზრუნვით სოციალიზმის მოძმე ქვეყნების აყვავების, მათი ერთიანობისა და შეკავშირების განმტკიცების, ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფისათვის. უაღრესად დიდ მნიშვნელობა აქვს ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს საქმიანობის შეფასებას, რომელსაც მისალმება შეიცავს.

ჟ. ბატმუნხმა წაიკითხა მონღოლეთის სახალხო რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ი. ცედენბალის მისასალმებელი წერილი. თავის ეუბილეს ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭო, ნათქვამია გამოსვლასა და მისალმებაში, აღნიშნავს კომპლექსური საინტეგრაციო პროგრამისა და თანამშრომლობის გრძელვადიანი მიზნობრივი პროგრამების გაშლილი განხორციელების პირობებში. ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭო ხალხთა ერთიანი ოჯახის ნათელი კომუნისტური მომავლის საწინდარია.

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციის მეთაურმა **მ. იაგელსკიმ** წაიკითხა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ე. გერეკის მისალმება სესიის მონაწილეებისადმი. გამოსვლასა და მისალმებაში ხაზგასმულია, რომ 1949 წელს ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს შექმნა ღირსშესანიშნავი პოლიტიკური და ეკონომიკური აქტი იყო. სოციალისტურ ეკონომიკურ თანამეგობრობაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს საბჭოთა კავშირი.

ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს 30-ე წლისთავი ღირსშესანიშნავი ეტაპია ყველა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პროცესში. პოლონელი ხალხი, ნათქვამია გამოსვლასა და მისალმებაში, მადლიერებით მიესალმება საბჭოთა კავშირ-ამერიკის ვენის უმაღლესი დონის შეხვედრის დადებით შედეგებს, სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის შესახებ ხელშეკრულების დადებას. ეს მნიშვნელოვანი და საჭირო ნაბიჯია ბირთვული ომის საშიშროების თავიდან აცილების გზაზე.

პოლონეთის დელეგაციის მეთაურმა დაგმო ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის წინააღმდეგ ჩინეთის უხეში აგრესია, თქვა, რომ სრულ სოლიდარობას უცხადებენ გმირ ვიეტნამელ ხალხს, ინდოჩინეთის სხვა ხალხებს.

რუმინეთის კომპარტიის გენერალური მდივნის, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტის ნ. ჩაუშესკუს წერილსა და დელეგაციის მეთაურის **ი. ვერდეცის** გამოსვლაში აღნიშნულია, რომ რუმინეთი განსაკუთრებით აფასებს ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრის სოციალისტური ქვეყნების თანამშრომლობის განვითარებაში, ამ ორგანიზაციის თითოეული მონაწილე ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის დაჩქარებაში. ობიექტურად საჭიროა კიდევ უფრო გაფართოვდეს თანამშრომლობა და კოოპერირება ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ფარგლებში. რუმინეთი თავის წვლილს შეიტანს მრავალმხრივი თანამშრომლობის განვითარებასა და სრულყოფაში.

ერთად განვლილი გზა, მიღწეული შედეგები ჩვენი ქვეყნებისა და ხალხების ამხანაგური თანამშრომლობის ურთიერთობაში საფუძველს გვაძლევს რწმენით შევხედეთ ჩვენი ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის მომავალს. ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ყველა ქვეყნის, მსოფლიოში სოციალიზმისა და პროგრესის საქმის აყვავების ინტერესებისათვის.

დელეგაციის მეთაური მიესალმა სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის მეორე ხელშეკრულების დადებას.

ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს 30-ე წლისთავის გამო მისალმება გამოგზავნა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტმა გ. ჰუსაკმა. სხდომაზე ეს დოკუმენტი წაიკითხა დელეგაციის მეთაურმა **ლ. შტროუგალმა.** მან თქვა, რომ ახლა ჩვენი თანამშრომლობა ყველაზე დინამიკური ეკონომიკური ძალაა თანამედროვე მსოფლიოში და მისი გავლენა ყველა კონტინენტის საზოგადოებრივ განვითარებაზე დღენიადაგ იზრდება და ღრმავდება.

მისალმებასა და გამოსვლაში აღნიშნულია, რომ ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ქვეყნებთან ეკონომიკურ და მეცნიერულ-ტექნიკურ თანამშრომლობას დიდი მნიშვნელობა აქვს ეროვნული ეკონომიკის სტაბილური და დინამიკური განვითარებისათვის. ამ ყოველმხრივი ურთიერთმოქმედების ფარგლებში ისინი ადომინირებენ ეკონომიკურ უთიერთობას სსრ კავშირთან — ქვეყანასთან, რომელიც თვალსაჩინო როლს ასრულებს სოციალისტური თანამეგობრობის განვითარებაში.

სხდომაზე გამოვიდნენ აგრეთვე დელეგაციის მეთაურები — იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკისა — დ. სტავრევი, ანგოლის სახალხო რესპუბლიკისა — ჟოზე ედუარდ დუშ სანტუში, ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკისა — შახ ვალი, ერაყის რესპუბლიკისა — მეჰდი მუჰსინ ალუდი, იემენის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკისა — ა. ნ. მუხამედი, ლაოსის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკისა — ნ. ფხუმსავანი, მექსიკისა — ხ. ე. ნავარეტე, მოზამბიკის სახალხო რესპუბლიკისა — მ. დუშ სანტუში, ფინეთისა — ე. რეკონა, სოციალისტური ეთიოპიისა — ე. ტესემა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეკონომიკური კომისიის აღმასრულებელი მდივანი, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის წარმომადგენელი ი. სტენოვიკი, იუნიდოს წარმომადგენელი — ამდ-ელ რაჰმან ხანი.

სხდომაზე გამოვიდა სსრ კავშირის დელეგაციის მეთაური **ა. ნ. კოსიგინი.**

მან აღნიშნა, რომ სოციალისტური ეკონომიკური ინტეგრაცია გადაიქცა ჩვენი თანამეგობრობის ცხოვრების განუყოფელ ნიშან-თვისებად, მოძმე ქვეყნების ყოველმხრივი პროგრესის მძლავრ და სტაბილურ ფაქტორად. ასეთია ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს საქმიანობის გამოცდილება და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯ. კარტერმა, უდიდესი ნაბიჯი იქნება გამაღებული შეიარაღების შეკავების გზაზე, ხელს შეუწყობს განიარაღების შესახებ სხვა მოლაპარაკებათა წარმატებას, აგრეთვე მთლიანად საერთაშორისო მდგომარეობის გაჯანსაღებას. ამიტომ ვენაში გამართული მოლაპარაკება შეესაბამება მთელი კაცობრიობის ინტერესებს, ქვეყნის ყველაზე ხელსაყრელ პირობებს ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოში გაერთიანებული ხალხთა აღმშენებლობითი შრომისათვის.

ვენის შეხვედრის შედეგად, თქვა შემდეგ ა. ნ. კოსიგინმა, ყველანი ვხედავთ სოციალისტური ქვეყნების შეთანხმებული საგარეო პოლიტიკის წარმატებას, რომელიც მიზნად ისახავს, რომ დაძაბულობის შენელების პროცესი მტკიცედებოდეს და ფართოვდებოდეს, ხდებოდეს ყოველისმომცველი და შეუქცევადი. ჩვენი საერთო მიზანია მთლიანი და საყოველთაო განიარაღება, რადგან განიარაღება — ეს არის სოციალიზმის იდეალი, იმის აუცილებელი პირობა, რომ უზარმაზარი დამატებითი რესურსები მოვახმაროთ აღმშენებლობისა და სოციალური პროგრესის მიზნებს.

ჩვენი ორგანიზაციის საქმიანობა უცილოდ ექვემდებარება თითოეულ ცალკეულ ქვეყანაში სოციალისტური და კომუნისტური მშენებლობის ძირითად ამოცანათა გადაწყვეტასა და მთლიანად მთელი თანმეგობრობის ეკონომიკურ და სოციალურ პროგრესს.

30 წლის მანძილზე ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭომ განვლო გზა სავაჭრო გაცვლის შეთანხმებიდან სოციალისტური ინტეგრაციის გეგმებისა და კომპლექსური ფორმების სულ უფრო ღრმა კოორდინაციამდე. თანამშრომლობის ეფექტიანობის შემდგომი ამაღლება მჭიდროდ არის დაკავშირებული მისი ეკონომიკური მექანიზმის სრულყოფასთანაც. ეკონომიკური ბერკეტები უფრო სიმეტყველ უნდა გვეხმარებოდეს ყველაზე ეფექტიანი საგეგმო გადაწყვეტების შემუშავებასა და რეალიზაციაში, სახალხო მეურნეობათა სტრუქტურისა და ურთიერთგაცვლის სტრუქტურის გაუმჯობესებაში, საწარმოების, გაერთიანებებისა და სამეცნიერო ორგანიზაციების უშუალო კავშირურთიერთობის განვითარებაში. ეჭვს არ იწვევს, თქვა ა. ნ. კოსიგინმა, რომ ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს მუშაობა კვლავაც ხელს შეუწყობს ჩვენი თანამშრომლობის ეფექტიანობის ამაღლებას.

სოციალისტური მსოფლიო მეურნეობის განვითარება სოციალისტურ ქვეყნებს შორის ახალი ტიპის ურთიერთობის მარტო დამყარებას როდი გულისხმობდა. მან გავლენა მოახდინა მთელი მსოფლიოს ეკონომიკურ ურთიერთობაზე, მოსპო, ქრძოდ, კაპიტალისტური ქვეყნების მონოპოლია ახალგაზრდა სახელმწიფოებთან ეკონომიკურ კავშირურთიერთობაზე.

ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ქვეყნები მხარს უჭერენ ბრძოლას სამართლიან და დემოკრატიულ საფუძველზე საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის გარდაქმნისათვის. კავშირი სოციალისტურ თანამეგობრობასთან ბევრი განვითარებადი ქვეყნის ეკონომიკური დამოუკიდებლობის განმტკიცების დიდმნიშვნელოვანი ფაქტორი გახდა. ჩვენ სხვადასხვა ფორმითა და სხვადასხვა დონეზე ვთანამშრომლობთ სოციალისტურ ქვეყნებთან, რომლებიც ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრები არ არიან, ავრეთვე განვითარებადს და კაპიტალისტურ ქვეყნებთან.

სოციალისტური ქვეყნები ზუსტად იცავენ ჰელსინკის მორიგებებს და კვლავაც მუშაობენ მათი განხორციელებისათვის. ჩვენ ვიღვწით, ქრძოდ, იმისათვის, რომ შევასრულოთ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ წამოყენებული წინადადებანი სრულიად ევროპის კონგრესებისა და სახელმწიფოთაშორისო თათბირების მოწყობის შესახებ გარემო ბუნების დაცვის, ენერგეტიკისა და ტრანსპორტის დარგში თანამშრომლობის საკითხებზე.

ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭო, აღინიშნა გამოსვლაში, კვლავაც იქნება დაძაბულობის შენელების გაღრმავებისა და მატერიალიზაციის, თანასწორუფლებიანი საერთაშორისო თანამშრომლობის გაფართოებისა და მშვიდობის განმტკიცების მნიშვნელოვანი ფაქტორი.

ახლანდელი სესია, თქვა დასასრულ ა. ნ. კოსიგინმა, კვლავ ცხადყოფს ჩვენს ერთიანობასა და ერთგულებას იმ მიზნებისადმი, რომელთა ხორცშესხმისთვის 30 წლის წინათ შეიქმნა ჩვენი კოლექტიური ორგანიზაცია. ყველაფერი, რასაც მივაღწიეთ თანამშრომლობის განვითარებაში, მომძე ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების ერთად შემუშავებული შეთანხმებული პოლიტიკის შედეგია.

ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტი, საბჭოთა მთავრობა სოციალისტურ ქვეყნებთან მეგობრობისა და თანამშრომლობის განმტკიცებას ყოველთვის მიიჩნევენ უპირველეს ამოცანად, უმნიშვნელოვანეს ინტერნაციონალურ მოვალეობად და საქმედ, რომელიც სავსებით შეესაბამება ჩვენს ერთიანულ ინტერესებს, კომუნისტური მშენებლობის მიზნებს. ჩვენ ვიცით, რომ სხვა მომძე ქვეყნების ხელმძღვანელები თავის მხრივ ასეთსავე პოზიციაზე დგანან. ჩვენი მისწრაფება ამ მიზნებისაკენ უცვლელია. ამიტომ ყოველ ღონეს ვიხმართ, რომ კიდევ უფრო განვამტკიცოთ ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭო, სრულყოთ მისი საქმიანობა სოციალისტური თანამეგობრობის, მშვიდობისა და პროგრესის საქმის საკეთილდღეოდ.

27 ივნისს სესიამ მუშაობა გააგრძო. (საკდესი).

ფართო მხარდაჭერა

ვაშინგტონი, 26 ივნისი. (საკდესი). ვენის უმაღლესი დონის შეხვედრაზე სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის დადებული სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის მეორე ეტაპის ხელშეკრულება ფართო მხარდაჭერას პოულობს ამერიკის საზოგადოებრიობის მხრიდან.

ორგანიზაციის — „ამერიკელები დემოკრატიული მოქმედების მომხრენი არიან“ ამერიკის დედაქალაქში გამართულმა კონფერენციამ მიიღო რეზოლუცია, რომელიც მოუწოდებს რაც შეიძლება სწრაფად დაამტკიცოს სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის მეორე ეტაპის ხელშეკრულება. მასში ხაზგასმულია, რომ სენატმა უნდა მოიწონოს სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის მეორე ეტაპის ხელშეკრულება, როგორც ეს ამერიკის პრეზიდენტმა დ. კარტერმა მოითხოვა.

ამერიკის პრეზიდენტმა ჯ. კარტერმა ვენაში ხელმოწერილი ხელშეკრულების, განიარაღების შემდგომი ღონისძიებების მხარდაჭერად მასობრივი მიტინგი გამართა ქალაქ საკრამენტოში (კალიფორნიის შტატი). მიტინგის მონაწილეებმა მხარი დაუჭირეს იმას, რომ სენატმა რაც შეიძლება სწრაფად დაამტკიცოს სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის მეორე ეტაპის ხელშეკრულება.

დიდი შეფასება

დამასკო, 27 ივნისი. (საკდესი). არაბი ხალხები მაღალ შეფასებას აძლევენ ახლო აღმოსავლეთის პრობლემის გამო საბჭოთა კავშირის მტკიცე და პრინციპულ პოზიციას, წერს სირიის პროგრესული გაზეთი „ნიდალ აშ-შააბი“.

არაბებმა, ხაზი გაუსვა მან, შესანიშნავად იციან, ვინ არის მათი მოყვარე, და ვინ — მტერი. ისინი გადაჭრით უარყოფენ დასავლეთის პროპაგანდის ყოველგვარ ცდებს დაამახინჯონ საბჭოთა საგარეო პოლიტიკის ნამდვილი შინაარსი. სსრ კავშირი, აღნიშნავს „ნიდალ აშ-შააბი“, უცილებლად მხარს უჭერს არაბულ ქვეყნებს, რომლებიც სამართლიან ბრძოლას უწევენ ისრაელის მიერ მთელი ოკუპირებული ტერიტორიების განთავისუფლებისათვის, პალესტინის არაბი ხალხის კანონიერი ეროვნული უფლებების უზრუნველყოფისათვის.

საშიში გეგმები

ნიუ-იორკი, 27 ივნისი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წრეებში გავრცელდა შეუმოწმებელი ცნობა, რომ პაკისტანი ემზადება უახლოეს ხანებში განახორციელოს ბირთვული დანადგარის აფეთქება ჩიტრალის რაიონში.

იმავე წყაროებიდან მიღებული მონაცემებით, პაკისტანის ხელმძღვანელები ამას წინათ ეწვივნენ მომავალი გამოცდის რაიონს იმ მიზნით, რომ შეამოწმონ როგორ მომდინარეობს მზადება ამ აქციისათვის.

მოკლედ

ყოველი მხრიდან

27 ივნისი

შენეკა. სოციალისტურმა ქვეყნებმა განიარაღების კომიტეტში გაავრცელეს სამუშაო დოკუმენტი, რომელიც შეიცავს საერთაშორისო კონვენციის პროექტს უბრთვო სახელმწიფოების უშიშროების გარანტიების განმტკიცების შესახებ.

თეირანი. როგორც იტყობინება რადიო „ირანის ისლამური რესპუბლიკის ხმა“, უკანასკნელი დღეების განმავლობაში ირანის ჭურთისტანში შეიარაღებული შეტაკებები ხდებოდა ფეოდალებსა და გლეხებს შორის, რომლებიც ირანის რევოლუციის მონაპოვართა დასაცავად იბრძვიან. შეტაკებათა შედეგად მოკლულია 10 კაცი და ბევრია დაჭრილი.

რადიომ გადასცა, რომ კონტრრევოლუციონერთა გამოხდომები მოხდა მეჰაბადში, სერდეშტში, პირანშახრში, ადგილობრივი პოლიციისა და რევოლუციური კომიტეტების დახმარებით რეაქციის გამოსვლები ჩახშეს. დაპატიმრებულ მეამბოხეთა შორისაა შაჰის ყოფილი გვარდიის კაპიტანი იაზდანფარი.

ადის-აბება. ეთიოპიის დროებითმა სამხედრო ადმინისტრაციულმა საბჭომ ეთიოპიელ ხალხს ამოცანად დაუსახა სოციალისტურ პრინციპებზე გარდაქმნან ეთიოპიის სოფლის მეურნეობა, უზრუნველყონ სოფლის ყოველმხრივი სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარება.

პავანა. შეიქმნა კარიბის ზღვის კუნძულოვანი სახელმწიფოს — დომინიკის მთავრობა. ახალი კაბინეტი თითქმის მთლიანად შედგება დომინიკის თავისუფლების კონსერვატიული პარტიის წარმომადგენლებისა და წინანდელი მმართველი ლეიბორისტული პარტიის წევრებისაგან. პრემიერ-მინისტრად და საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშნული ოლივერ სერაფინი გადაყენებული პრემიერ-მინისტრის პატრიკ ჯონის მთავრობაში სოფლის მეურნეობის მინისტრი იყო.

კანბერა. გაფიცვა გამოაცხადა ავსის ქვეყნების 1700 მკვედრმა, რომლებიც აღდგომის კუნძულზე ავსტრალიის სამფლობელო ფოსფატის საბადოების დამუშავებას ეწეოდნენ. ისინი ინგლისის ადმინისტრაციისაგან, რომელიც ამ საბადოებს ლიცენზიების თანახმად ფლობს, მოითხოვენ ხელფასის მომატებას ავსტრალიელი მუშების შრომის ანაზღაურების დონემდე. პერტში (დასავლეთ ავსტრალიის შტატი) აჯანყებულ კუნძულზე გადასაგზავნად ამზადებენ პოლიციის სპეციალურ რაზმს. (საკდესი).

დიდმნიშვნელოვანი გადაწყვეტილება

სტოკჰოლმი, 27 ივნისი. (საკდესი). შვედეთში 1 ივლისიდან ძალაში შედის კანონი, რომელიც შვედეთის საწარმოებს უკრძალავს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკისა და ნამიბიის ეკონომიკაში კაპიტალის ყოველგვარი ფორმით დაბანდებას. ეს აქტი შეეხება შვედეთის ოცამდე კომპანიას, რომლებიც ამჟამად საქმეთ ოპერაციებს ეწევიან სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკასთან.

ასეთი კანონი მიიღო შვედეთმა — პირველმა იმ ქვეყნებიდან, რომლებსაც თავიანთი საწარმოები აქვთ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში. როცა შვედეთის მთავრობამ ეს კანონი რიგსდაგში (პარლამენტში) შეიტანა, სადაც იგი მოიწონა დეპუტატთა უმრავლესობამ, მან მხარი დაუჭირა პრემიერ-მინისტრის რეკომენდაციას საერთაშორისო ზეგავლენის გაძლიერების.

აპარტეიდის სამარცხვინო პოლიტიკას, რომელსაც სამხრეთ აფრიკის ხელისუფალნი ახორციელებენ, გადაჭრით გმობს შვედეთის საზოგადოებრიობა. იგი ასევე აკრიტიკებს დასავლეთის წამყვან სახელმწიფოებს, რომლებიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გადაწყვეტილებების მიუხედავად ხელს აფარებენ რასისტულ რეჟიმს. დასავლეთის ქვეყნები, თქვა რიგსდაგში შვედეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის დეპუტატმა ყარლ ლინდბუმმა, ჯერ კიდევ ეწინააღმდეგებიან სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის იზოლაციისა და მის წინააღმდეგ ეფექტიანი სანქციების გამოყენების მოთხოვნას.

შვედეთის საზოგადოებრიობა პარლამენტის მიერ მიღებულ კანონს იხილავს როგორც პირველ ნაბიჯს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკასთან შვედეთის ყოველგვარი ურთიერთობის სრული შეწყვეტის გზაზე. სამხრეთ აფრიკის იზოლაციისათვის მებრძოლმა კომიტეტმა, რომელიც შვედეთის 30-მდე გავლენიან პოლიტიკურ, საზოგადოებრივ, რელიგიურ ორგანიზაციას აერთიანებს, მოითხოვა პრემიერის რეკომენდაციის ერთად შემუშავებული შეთანხმებული პოლიტიკის შედეგია.

«ავტონომია» პალესტინელებისათვის

გენერუთი, 26 ივნისი. (საკდესი). ისრაელის ქალაქ გერცლიაში უმუშევრობის უმკაცრესი ღონისძიებების პირობებში ამერიკის შეერთებული შტატების მონაწილეობით დაიწყო ეგვიპტე-ისრაელის მოლაპარაკების მესამე რაუნდი. მოლაპარაკება ეძღვნება მდინარე იორდანის ოკუპირებულ დასავლეთ ნაპირსა და ღაზის სექტორში ეგრეთ წოდებული „ადმინისტრაციული ავტონომიის“ რეჟიმის შემოღების საკითხს. მოლაპარაკებაში მონაწილეობისათვის ისრაელში ჩამოვიდა ეგვიპტის დელეგაცია პრემიერ-მინისტრ ჰალიოს მეთაურობით. ისრაელის მხარეს მეთაურობს შინაგან საქმეთა მინისტრი ბურგი.

პოლიტიკური მიმომხილველები აღნიშნავენ, რომ ეგვიპტე-ისრაელის მორიგი შეხვედრა მიმდინარეობს ვითარებაში, როცა ისრაელი თავხედურად ამკვიდრებს არაბული ტერიტორიების ოკუპაციას. მაგალითად, მოლაპარაკების მეორე და ახლანდელ რაუნდებს შორის განვლილ დროში, რომელიც მოიცავს 12-დან 25 ივნისამდე პერიოდს, ტელავივმა იორდანის დასავლეთ ნაპირზე დაიწყო რამდენიმე ახალი გასამხედროებული დაბის მშენებლობა, რომლებმაც დაუკრობილ არაბულ მიწებზე სიონისტური ფორპოსტების როლი უნდა შეასრულონ.

სეპარატული გარიგებით პარტნიორების ზრახვების შესაბამისად „ავტონომიის“ რეჟიმმა პალესტინის პრობლემის სამართლიანი გადაწყვეტა უნდა შეცვალოს. კუდმოკვეცილი ღონისძიებებით, რომლებსაც საერთო არა აქვთ რა 3 მილიონი პალესტინელი არაბის ეროვნულ უფლებებთან და ინტერესებთან.

„ავტონომიის“ პროექტი, რომელიც ბეგინმა და მისმა მომხრეებმა წამოაყენეს, — გადმოგვცემს რეიტერის საარგებლოს კორესპონდენტი იერუსალიმიდან, პალესტინელებს იორდანის დასავლეთ ნაპირზე და ღაზის სექტორში უტოვებს თვითმართველობის მხოლოდ უმნიშვნელო უფლებას ისრაელის კონტროლის პირობებში.

«ჩვენ ვიმარჯვებთ, რადგან ჩვენ მართალნი ვართ»

ამ სათაურით ჟურნალ „ნიუსუიკის“ პრეზიდენტი შეეხო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანთან, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარესთან ლ. ი. ბრეჟნევთან საუბრის დროს შესაძლებლობა მომეცა შევხებოდი ზოგიერთ მწვავე საერთაშორისო პრობლემას. ჩვენი ანალიზი იყო მსგავსი, ან ყოველ შემთხვევაში — დაახლოებული.

პრეზიდენტმა ილაპარაკა ტოკიოში შვიდი უდიდესი კაპიტალისტური ქვეყნის ხელმძღვანელთა მომავალი თათბირის შესახებ და აღნიშნა, რომ ამ ფორუმის მთავარი მიზანი იქნება ნავთობის იმპორტის სტაბილიზაცია და შემცირება.

მან დასძინა, რომ საწვავის დაზოგვისა და, კერძოდ, ამერიკის შეერთებულ შტატებში ნავთობის იმპორტის შემცირების ღონისძიებებს დიდი მნიშვნელობა აქვს დასავლეთის ქვეყნების ეკონომიკისათვის. ინერგეტიკულმა პრობლემებმა სხვა ფაქტორებთან ერთად, აღნიშნა პრეზიდენტმა, გამოიწვიეს გარკვეული ეკონომიკური დაქვეითება დასავლეთის ქვეყნებში, და მათ შორის უმუშევრობის ზრდა. ტოკიოში, ხაზი გაუსვა მან, შვიდი ქვეყნის ხელმძღვანელებმა უნდა შეიმუშაონ ღონისძიებანი, რათა დასძლიონ ეკონომიკური დაქვეითება თავიანთ ქვეყნებში.

საფრანგეთის პრეზიდენტმა შეშფოთება გამოთქვა ევროპის ეკონომიკური გაერთიანების წევრ ქვეყნებსა და იაპონიას შორის დეფიციტის ზრდასთან დაკავშირებით. მისი აზრით, იაპონიამ უფრო ფართოდ უნდა გაუღოს კარი „საერთო ბაზრის“ საქონელს. ამასთან ჟ. ჟისკარ დესტენი იძულებული იყო ეღიარებინა, რომ დღემდე იაპონიას არ განუცხადებია, რომ „მზად არის მოაწესრიგოს ეს პრობლემა“.

საფრანგეთის მთავრობის პოზიცია

პარიზი, 26 ივნისი. (საკდესი). ვენაში ხელმოწერილი საბჭოთა კავშირ-ამერიკის ხელშეკრულება სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის შესახებ „მნიშვნელოვანი ეტაპია საერთაშორისო დაძაბულობის შენელების გზაზე“. ეს არის მოვლენა, რომლის მნიშვნელობასა და დადებით ხასიათს უნდა მივესალმოთ“, — ნათქვამია აქ გამოქვეყნებულ კომუნიკეში საფრანგეთის მინისტრთა საბჭოს დღეს გამართული სხდომის შესახებ. საფრანგეთის მთავრობის აზრით, ეს ხელშეკრულება „შეესაბამება პირობებს, რომლებიც აუცილებელია მისი მოწონებისათვის“. უშიშროების თვალსაზრისით, აღნიშნულია კომუნიკეში, იგი წარმოადგენს „მთლიანად შეწონასწორებულ კომპლექსს“.

შრომა და კაპიტალი



ამერიკის შეერთებული შტატები. ასობით ათვირთო ავტომობილის მძღოლმა დემონსტრაცია მოაწყო ქვეყნის 11 შტატში; მათ თავიანთი მანქანებით ჩაკეტეს ბენზინის გასაწყობი სადგურების მისასვლელი გზები. ამ მასობრივი აქციის მიზეზი ის არის, რომ შეერთებულ შტატებში თვრუდამხვევი სისწრაფით ძვირდება ბენზინი და დიზელის სათბობი.

სურათზე: ჩაკეტილი მაგისტრალის უბანი ორეგონის შტატში.

იუნაიტედ პრეს ინტერნეშნლ-საკდესის ტელეფოტო.

ხელშეკრულებას არღვევენ

ვაშინგტონი, 26 ივნისი. (საკდესი). გაზეთმა „ვაშინგტონ პოსტმა“ გამოაქვეყნა სტატია სათაურით „ამერიკის შეერთებულმა შტატებმა გვერდი უარჰი იაპონიაში მოქმედ ატომური იარაღის აკრძალვას“, რომელშიც, კერძოდ, ნათქვამია:

იაპონიის, ერთადერთი ქვეყნის ფარგლებში, რომელმაც თვითონ განიცადა, რას ნიშ

ᲨᲐᲕᲘᲖᲦᲕᲘᲡᲞᲘᲠᲔᲗᲘᲡ ᲛᲐᲠᲒᲐᲚᲘᲢᲘ

ᲑᲘᲕᲘᲜᲘ ᲨᲐᲕᲘᲖᲦᲕᲘᲡᲞᲘᲠᲔᲗᲘᲡ ერთ-ერთი ულამაზესი ადგილია. ცად აღმართული კეთილმოწყობილი ქათქათა პანსიონატებისა და დასასვენებელი სახლების კორპუსები, ჩინებული პლაჟები, სახელგანთქმული რელიქტური ფიჭვნარი, წყნარი ზღვა — ყოველივე ამან ბიჭვინთას „შავიზღვისპირეთის მარგალიტის“ სახელი დაუმკვიდრა.

საჭინფორმის ფოტოკორესპონდენტის **ი. ᲛᲝᲮᲝᲜᲔᲚᲘᲫᲘᲡ** სურათზე ხედავთ მაღლივ პანსიონატს, რომელშიც დამსვენებლებს ჩინებული პირობები აქვთ შექმნილი.

ჩემპიონს — საპატიო ნოდება

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ, 27 ივნისი. (საკუთარი კორ.). დღეს სსრ კავშირის სპორტკომიტეტის კოლეგიამ მსოფლიო ჩემპიონს ჰადრაკში მაია ჩიბურდანიძეს სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება მიანიჭა. იგი ყველაზე ნორჩი სპორტის დამსახურებული ოსტატია ჰადრაკში მთელი საბჭოთა სპორტის ისტორიის მანძილზე.

დადგენილებაში ნათქვამია, რომ თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის 18 წლის სტუდენტმა მაია ჩიბურდანიძემ, სიყმაწვილის მიუხედავად, უკანასკნელი ორი წლის მანძილზე უთვალსაჩინოეს წარმატებებს მიაღწია.

წარმატება ლვოვში

ᲚᲕᲝᲕᲨᲘ დაიწყო სსრ კავშირის ჩემპიონატი ტყვიის სროლაში. გუნდური შეჯიბრებები მიმდინარეობს ოლიმპიური პროგრამით, ხოლო პირადი — არაოლიმპიური. ნებისმიერი მცირეკალიბრიანი პისტოლეტით 50 მეტრზე სროლაში კარგად იასპარეზა სოხუმელმა **მ. ᲞᲐᲞᲐᲕᲐᲛ.** მან 570 ქულით პირად ჩათვლაში მეორე ადგილი დაიკავა და საერთაშორისო კლასის ოსტატის ნორმატივიც შეასრულა. „დინამოს“ პირველი ნახტომების შემადგენლობაში იყო თბილისელი იუნიორი **ბ. ᲙᲝᲙᲝᲠᲔᲕᲘ**. დინამოელებმა გუნდური პირველობა მოიპოვეს და მათ შორის თბილისელმა კოკორევმაც ოქროს მედალი მიიღო.

მატჩი კოპენჰაგენში

ᲒᲣᲨᲘᲜ კოპენჰაგენში გაიმართა დანიისა და სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდების ამხანაგური შეხვედრა. მატჩი მოიგეს საბჭოთა ფეხბურთელებმა ანგარიშით 2:1 (0:1).

გოლები გაიტანეს ტ. ანდერსენმა, დარასელიამ და ხოლბერგმა (საკუთარ კარში).

საბჭოთა ნაკრებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშა: **გონტარი** (რომენსკი), **ბერეჟნოი** (მინაევი), **ხინჩაგაშვილი, მახვიკოვი, ბუბნოვი, დარასელია, ხიდიატულინი, ბესონოვი, ჩესნოკოვი (პრიგოდა), უიფიანი, ბლოხინი.**

მეცხრამეტე ტური

ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ მეორე ლიგის მეოთხე ზონის ფეხბურთელთა საკავშირო ასპარეზობის მეცხრამეტე ტურის მატჩები. ამ შეჯიბრებაში მონაწილე საქართველოს გუნდების შეხვედრათა შედეგები ასეთია:

„ლოკომოტივი“ (სოხუმი) — „დინამო“ (ბათუმი) — 1:0.

ცხრამეტი ტურის შემდეგ გათამაშების ცხრილში პირველ ადგილზე არიან: „არაზი“ (ნახიჩევანი) — 29 ქულა, „კოტაიკი“ (აბოვიანი), „ხაზარი“ (ლენკორანი), „ყარაბახი“ (სტეფანაკერტი) — 24-24, „გურია“ (ლანჩხუთი)-„ტურბინა“ (ნაბერეჟნოე ჩელნი) — 6:2, „ლოკომოტივი“ (სამტრედია)-„ტორპედო“ (ტოლიატი) — 4:1, „ავტომობილისტი“ (ბაქო)-„დილა“ (გორი) — 1:1, „დინამო“ (კიროვი)-„დინამო“ (ზუგდიდი) — 0:0, „დრუჟბა“ (იოშკარ-ოლა)-„დინამო“ (სოხუმი) — 0:0, „ზენიტი“ (იჟევსკი)-„დინამო“ (ბათუმი) — 1:0.

უცხოელებს ემშვიდობებიან

ᲔᲡᲞᲐᲜᲔᲗᲘᲡ ფეხბურთის ფედერაციამ გადაწყვიტა მომავალ სეზონში საკლუბო გუნდებს აუკრძალოს 2-ზე მეტი უცხოელი მოთამაშის ყოლა. ახლა ზოგიერთ საკლუბო გუნდში 5-6 უცხოელი ფეხბურთელი თამაშობს და მოსალოდნელია, რომ 25-30 სპორტსმენი უკვე ამ თვეში დატოვებს ესპანეთს.

ფედერაციამ ისიც გადაწყვიტა, რომ 1982 წელს გადაწყვეტილი ესპანეთის უმაღლესი ლიგის კლუბები უცხოელ ფეხბურთელს უნდა დატოვოს. ეს კი იმიტომ ხდება, რომ ესპანეთი მომავალ მსოფლიო ჩემპიონატს მასპინძლობს. არგენტინელი მარიო კემპესი ერთადერთი გამონაკლისი იქნება, ვინაიდან მან შარშან 4-წლიანი კონტრაქტი დადო „ვალენსიასთან“ და ესპანეთში დარჩება. საერთოდ კი ესპანეთის უმაღლეს ლიგას 95 უცხოელი ფეხბურთელი დატოვებს.

სატურნირო ორგიტაფე

ᲑᲔᲚᲒᲐᲣᲠᲗᲘ. ბელგრადში გრძელდება ვაჟთა გუნდების საერთაშორისო ტურნირი „იუგოსლავიის თასზე“. საბჭოთა ხელბურთელებმა პოლონელებთან შეხვედრა ფრედ (20:20) დაამთავრეს, ხოლო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრები დაამარცხეს (28:24).

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ქალაქ რეგენსბურგში მიმდინარეობს რკინიგზელთა საერთაშორისო სპორტული კავშირის ფეხბურთელთა ჩემპიონატი. მოსკოვის „ლოკომოტივმა“ ორი მატჩი გამართა და ორივე მოიგო: პოლონეთის გუნდთან ანგარიშით 2:1, ხოლო ფინეთის კოლექტივთან — 3:1.

ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘ. ჩეხოსლოვაკიის ქალაქ ბრნოში 60 წლის იუბილეს ეძღვნება ამ ქვეყნისა და ევროპის ვაჟთა ნაკრები გუნდების ორი ამხანაგური შეხვედრა. ევროპის ნაკრებში მიიწვიეს საბჭოთა სპორტსმენები: ვ. ტკაჩენკო, ა. ბელოსტენნი, ა. მიშინი და ს. ერაომინი. პირველი მატჩი გაიმართა ქალაქ პრიევიძეში, გაიმარჯვეს სტუმრებმა ანგარიშით 99:89 (54:38). მეორე შეხვედრა დღეს ბრატისლავაში მოეწყობა.

ᲕᲔᲚᲝᲡᲞᲝᲠᲢᲘ. იუგოსლავიის გზებზე მიმდინარეობს მრავალდღიანი ველოსრბოლა. სამი ეტაპის შემდეგ რბოლას სამი ლიდერი ჰყავს — საიდ ჰუსეინოვი, ალექსანდრე ავერინი (ორივე — სსრ კავშირი) და მარკ გომესი (საფრანგეთი). თითოეულმა სამივე ეტაპის გავლას 7 საათი, 9 წუთი და 32 წამი მოანდომა.

რედაქტორი
ბ. ᲑᲔᲓᲘᲜᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ.



ტელევიზია

28 ივნისი

პირველი პროგრამით

09.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 09.40 — დილის ვარჯიში (მ.), 16.30 — ახალგაზრდებისათვის — ფიზიკა (ფ.), 17.00 — განცხადებები (ფ.), 17.05 — „მეცნიერულ-კლასელთათვის — შვეიცარიელთა რუსული ენა, 17.35 — „ჩვენს დიად სამშობლოში“ — „ნიჭი რუსული მიწისა“ (ქართულ ენაზე), 17.50 — მოსწავლეთათვის — „დიდი გზის დასაწყისი“. 18.20 — „საერთაშორისო ლიტერი“ (ფ.), 18.35 — „მეგობრობის ხმები“, 18.45 — „საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის შემოქმედებითის პლენუმზე“, 19.15 — სპორტული მიმოხილვა (ფ.), 19.45 — „დღეს მსოფლიოში“ (მ.), 20.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა (ფ.), 20.30 „ქართული ფილმის“ საიუბილეო კინორვენება — მხატვრული ფილმი „ნერგები“, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 22.35 — „შემოქმედებითი პორტრეტები“ — იპოლიტე ხვიჩია (ფ.).

მეორე პროგრამით

16.45 — ფოკლემენტარაჟიანი მხატვრული ფილმი „არაჩვეულებრივი კვირა დღე“, 17.45 — მულტიპლიკაციური ფილმი, 17.55 — განცხადებები (ფ.), 18.00 — „ჩვენს დიად სამშობლოში“ — საგელევიზიო ფერადი დოკუმენტური ფილმი „ამბავი ყირგიზი ქალისა“. 18.40 — მხატვრული ფილმი „გასართობი მოხუცებისათვის“ (ფ.).

29 ივნისი

პირველი პროგრამით

06.08 — „უკანასკნელი ცნობები, 06.38 — „ჩვენი მთა-ბარის ჰანგები, 07.30 — „ეროვნული დილა“, 07.31 — „ვიტა“ (ესპერანტო), 08.37 — „მელოდიები მსოფლიოდან“, 09.25 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.45 — ვ. შაინსკი. სიმღერები, 11.45 — „პასუხისმგებლობა და სტუმული“, 12.15 — „საესტრადო რიგები“, 12.30 — კომენტარი საერთაშორისო თემაზე, 12.35 — კონცერტი, რომლის პროგრამა შეადგინა სამხატვრო აკადემიის ბამბის სართავი ფაბრიკის მუშამ ე. შალამბერიძემ. 13.00 — „დრო, მოვლენები, ადამიანები“ (მ.), 13.50 — მოსწავლეთათვის. გაზეთი „ნორჩი ლენინელის“ ფურცლებზე, 17.15 — „ახალგაზრდების შემოქმედება“ — უკრავს რ. გვასალია, 17.40 — მოსწავლეთათვის. „წიგნის თარო“. 18.10 — „მელოდია, რიგმი, გაწყობილება“, 19.00 — „შვილის ბედი“. რადიონარკვევი, 19.15 — ი. ჰაიდნი. მეორე საფორტეპიანო სონატა, 19.40 — ქართული ხალხური სიმღერები, 20.30 — მაზურკები, 20.40 — „ჩვენი გადაცემების კვალდაკვალ“, 21.00 — „ცილისპირული“, 21.10 — მ. შავლიაშვილი. „მწერებლები“. რადიოდადგმა (პრემიერა), 22.00 — კონცერტი, ა. კერესელიძის ნაწარმოებები, 23.30 — „საესტრადო მელოდიები“, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

თეატრი

28 ივნისი

ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — ლელა (30-ე აბონ. მეორისე წარმ.); მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — შუშამაჯალოება; ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — მე, ცოლი და სიდედრი; კონსერვატორიის დიდი დარბაზი — აფხაზეთის სახელმწიფო საგუნდო კაპელის, რადიოსა და ტელევიზიის სიმფონიური ორკესტრის კონცერტი.

ᲡᲠᲣᲚᲘ ᲕᲔᲠᲡᲘᲐ ᲘᲜᲢᲔᲠᲜᲔᲢᲨᲘ

ნახეთ, იქნებ მოიგეთ?

ოფიციალური ცხრილი

საქართველოს სსრ ფულისა და ნივთების 1979 წლის მეექვსე გამოშვების ლატარიის მოგებათა ტირაჟი გაიმართა 1979 წლის 25 ივნისს დაბა თიანეთში. ტირაჟში გათამაშდა 288.000 მანეთის საერთო თანხის 90 ნივთმოგება და 159.910 ფულადი მოგება. მოგება ხვდა ლატარიის სერიებისა და ბილეთების შემდეგ ნომრებს:

სერიის №	ბილეთის №	მოგებული ნივთის დასახელება ან ფულადი მოგების ოდენობა	მოგებული ნივთის ფულის ღირებულება
16003	149*)	ელექტროსამოვარი	21—00
16010	315*)	კინოაპარატი „ლომო-216“	70—00
16042	390*)	300 მანეთი	—
16043	004*)	ავტომანქანა „ჟიგული-21011“	6030—00
16050	267*)	20 მანეთი	—
16058	358*)	იმპორტული ავეჯის გარნიტური	535—00
16059	460*)	25 მანეთი	—
16069	217*)	ელექტროსამოვარი	21—00
16083	295*)	25 მანეთი	—
16089	009*)	30 მანეთი	—
16113	099*)	20 მანეთი	—
16141	114*)	30 მანეთი	—
16143	296*)	50 მანეთი	—
16165	870*)	მტვერსასრუტი	45—00
16171	482*)	1000 მანეთი	—
16174	247*)	25 მანეთი	—
16176	497*)	20 მანეთი	—
16187	142*)	25 მანეთი	—
16190	100*)	საცხოვრებელი ოთახის იმპორტული გარნიტური	1200—00
16206	361*)	30 მანეთი	—
16213	491*)	25 მანეთი	—
16219	1—500	15 მანეთი	—
16230	445*)	20 მანეთი	—
16231	258*)	25 მანეთი	—
16243	156*)	25 მანეთი	—
16249	354*)	200 მანეთი	—
16277	299*)	30 მანეთი	—
16283	178*)	100 მანეთი	—
16294	497*)	25 მანეთი	—
16303	157*)	საცხოვრებელი ოთახის იმპორტული გარნიტური	1200—00
16319	238*)	30 მანეთი	—
16339	139*)	25 მანეთი	—
16348	191*)	კინოაპარატი „ლომო-216“	70—00
16369	378*)	მაცივარი „ზილი“	370—00
16389	169*)	ხალიჩა 1,5X2,5 მ.	225—00
16395	439*)	მტვერსასრუტი	45—00
16404	256*)	50 მანეთი	—
16408	203*)	200 მანეთი	—
16411	155*)	25 მანეთი	—
16422	319*)	25 მანეთი	—
16423	205*)	25 მანეთი	—
16431	311*)	საკერავი მანქანა „ჩაიკა-3“	203—00
16439	280*)	100 მანეთი	—
16452	289*)	ავტომანქანა „ჟიგული-2101“	5500—00
16471	288*)	25 მანეთი	—
16472	311*)	20 მანეთი	—
16473	401*)	50 მანეთი	—
16478	464*)	ავტომანქანა „ვოლგა გაზ-24“	9043—00
16482	379*)	100 მანეთი	—
16491	272*)	ხალიჩა 1,5X2,5 მ.	225—00
16494	176*)	30 მანეთი	—
16507	1—500	10 მანეთი	—
16509	248*)	30 მანეთი	—
16514	369*)	1000 მანეთი	—
16518	196*)	25 მანეთი	—
16520	256*)	350 მანეთი	—
16524	388*)	მაცივარი „ზილი“	370—00
16528	178*)	200 მანეთი	—
16536	062*)	200 მანეთი	—
16538	295*)	კინოაპარატი „ლომო-216“	70—00
16541	177*)	50 მანეთი	—
16558	122*)	50 მანეთი	—
16558	303*)	მაცივარი „ზილი“	370—00
16562	479*)	ავტომანქანა „ჟიგული-2106“	7900—00
16577	272*)	50 მანეთი	—
16586	036*)	მაცივარი „ზილი“	370—00
16588	030*)	50 მანეთი	—
16589	005*)	მტვერსასრუტი	45—00
16592	048*)	ელექტროსამოვარი	21—00
16613	219*)	300 მანეთი	—
16616	278*)	25 მანეთი	—
16626	119*)	50 მანეთი	—
16634	208*)	20 მანეთი	—
16638	418*)	30 მანეთი	—
16641	368*)	1000 მანეთი	—
16643	088*)	50 მანეთი	—
16648	038*)	50 მანეთი	—
16654	497*)	100 მანეთი	—
16696	382*)	20 მანეთი	—
16697	497*)	კინოაპარატი „ლომო-216“	70—00
16738	242*)	30 მანეთი	—
16789	028*)	25 მანეთი	—
16776	278*)	50 მანეთი	—
16782	336*)	1000 მანეთი	—
16794	117*)	30 მანეთი	—
16813	267*)	50 მანეთი	—
16815	366*)	20 მანეთი	—
16830	105*)	100 მანეთი	—
16831	315*)	ავტომანქანა „ჟიგული-21011“	6030—00
16858	247*)	ავტომანქანა „ჟიგული-2101“	5500—00
16861	455*)	იმპორტული ავეჯის გარნიტური	535—00
16867	1—500	15 მანეთი	—
16875	488*)	30 მანეთი	—
16885	085*)	25 მანეთი	—
16916	136*)	100 მანეთი	—
16917	413*)	მაგნიტოფონი	220—00
16927	154*)	25 მანეთი	—
16930	276*)	მაგნიტოფონი	220—00
16947	414*)	20 მანეთი	—
16955	457*)	მტვერსასრუტი	45—00
16956	007*)	30 მანეთი	—
16966	187*)	100 მანეთი	—
16978	255)*	30 მანეთი	—
16984	495*)	100 მანეთი	—
16985	479*)	30 მანეთი	—
16987	337*)	450 მანეთი	—
16990	1—500	10 მანეთი	—
17004	361*)	ხალიჩა 1,5X2,5 მ.	225—00
17009	469*)	25 მანეთი	—
17025	187*)	მაცივარი „ზილი“	370—00
17027	017*)	50 მანეთი	—
17040	030*)	მტვერსასრუტი	45—00
17041	114*)	100 მანეთი	—
17043	371*)	350 მანეთი	—
17046	287*)	30 მანეთი	—
17055	486*)	კინოაპარატი „ლომო-216“	70—00
17073	207*)	25 მანეთი	—
17076	086*)	25 მანეთი	—
17091	364*)	300 მანეთი	—
17094	267*)	25 მანეთი	—
17103	183*)	მაგნიტოფონი	220—00
17114	116*)	ელექტროსამოვარი	21—00
17118	077*)	30 მანეთი	—
17125	265*)	ხალიჩა 1,5X2,5 მ.	225—00
17136	126*)	30 მანეთი	—
17153	217*)	მაგნიტოფონი	220—00
17165	037*)	30 მანეთი	—
17173	465*)	მაცივარი „ზილი“	370—00
17180	392*)	50 მანეთი	—
17186	345*)	ელექტროსამოვარი	21—00
17198	500*)	საკერავი მანქანა „ჩაიკა-3“	203—00
17199	270*)	50 მანეთი	—
17202	460*)	კინოაპარატი „ლომო-216“	70—00
17206	226*)	100 მანეთი	—
17217	048*)	100 მანეთი	—
17234	417*)	25 მანეთი	—
17244	115*)	მაგნიტოფონი	220—00
17245	153*)	100 მანეთი	—
17248	118*)	მტვერსასრუტი	45—00
17252	042*)	30 მანეთი	—
17257	142*)	კინოაპარატი „ლომო-216“	70—00
17269	026*)	50 მანეთი	—
17278	127*)	30 მანეთი	—
17279	239*)	20 მანეთი	—
17304	208*)	350 მანეთი	—
17312	337*)	20 მანეთი	—
17320	482*)	25 მანეთი	—
17335	012*)	20 მანეთი	—
17352	337*)	30 მანეთი	—
17370	366*)	100 მანეთი	—
17406	380*)	25 მანეთი	—
17407	422*)	50 მანეთი	—
17415	281*)	20 მანეთი	—
17430	229*)	100 მანეთი	—
17468	282*)	50 მანეთი	—
17486	032*)	20 მანეთი	—
17502	450*)	25 მანეთი	—
17510	327*)	მტვერსასრუტი	45—00
17553	265*)	ელექტროსამოვარი	21—00
17554	051*)	50 მანეთი	—
17568	398*)	50 მანეთი	—
17571	489*)	საკერავი მანქანა „ჩაიკა-3“	203—00
17572	174*)	25 მანეთი	—
17590	128*)	მაცივარი „ზილი“	370—00
17628	217*)	20 მანეთი	—
17629	327*)	ელექტროსამოვარი	21—00
17650	187*)	30 მანეთი	—
17666	472*)	100 მანეთი	—
17708	225*)	მაგნიტოფონი	220—00
17712	014*)	მაცივარი „ზილი“	370—00
17727	396*)	მაგნიტოფონი	220—00
17744	170*)	100 მანეთი	—
17758	181*)	100 მანეთი	—
17756	398*)	25 მანეთი	—
17760	290*)	200 მანეთი	—
17766	471*)	ელექტროსამოვარი	21—00
17771	117*)	საკერავი მანქანა „ჩაიკა-3“	203—00
17772	260*)	100 მანეთი	—
17797	118*)	20 მანეთი	—
17801	499*)	კინოაპარატი „ლომო-216“	70—00
17820	188*)	20 მანეთი	—
17832	495*)	მაცივარი „ზილი“	370—00
17837	248*)	200 მანეთი	—
17840	861*)	25 მანეთი	—
17844	088*)	350 მანეთი	—
17861	411*)	1000 მანეთი	—
17863	407*)	საკერავი მანქანა „ჩაიკა-3“	203—00
17869	351*)	200 მანეთი	—
17876	308*)	20 მანეთი	—
17878	356*)	20 მანეთი	—
17886	089*)	50 მანეთი	—
17891	344*)	25 მანეთი	—
17908	429*)	450 მანეთი	—
17917	161*)	1000 მანეთი	—
17932	063*)	30 მანეთი	—
17938	424*)	25 მანეთი	—
17951	479*)	მაცივარი „ზილი“	370—00
17958	160*)	მტვერსასრუტი	45—00
17965	345*)	25 მანეთი	—
17969	358*)	30 მანეთი	—
17989	210*)	30 მანეთი	—
17995	048*)	მტვერსასრუტი	45—00
18002	136*)	30 მანეთი	—
18015	181*)	ელექტროსამოვარი	21—00
18024	477*)	100 მანეთი	—
18044	267*)	მტვერსასრუტი	45—00
18058	181*)	25 მანეთი	—
18065	102*)	50 მანეთი	—
18069	002*)	100 მანეთი	—
18084	104*)	50 მანეთი	—
18088	454*)	100 მანეთი	—
18089	217*)	25 მანეთი	—
18096	230*)	200 მანეთი	—
18099	260*)	200 მანეთი	—
18108	451*)	100 მანეთი	—
18112	487*)	200 მანეთი	—
18120	221 *)	25 მანეთი	—
18128	287*)	კინოაპარატი „ლომო-216“	70—00
18185	187*)	200 მანეთი	—
18186	368*)	25 მანეთი	—
18140	015*)	300 მანეთი	—
18153	031*)	30 მანეთი	—
18155	186*)	ავტომანქანა „ჟიგული-2106“	7900—00
18156	454*)	50 მანეთი	—
18168	198*)	ხალიჩა 1,5X2,5 მ.	225—00
18183	094*)	25 მანეთი	—
18193	151*)	ელექტროსამოვარი	21—00
18196	259*)	350 მანეთი	—
18201	886*)	25 მანეთი	—
18206	281*)	მაცივარი „ზილი“	370—00
18230	331*)	ხალიჩა 1,5X2,5 მ.	225—00
18242	315*)	25 მანეთი	—
18272	092*)	25 მანეთი	—
18298	215*)	მაგნიტოფონი	220—00
18300	271*)	30 მანეთი	—
18315	412*)	100 მანეთი	—
18339	157*)	200 მანეთი	—
18348	136*)	საკერავი მანქანა „ჩაიკა-3“	203—00
18351	051*)	25 მანეთი	—
18354	149*)	25 მანეთი	—
18380	454*)	25 მანეთი	—
18384	488*)	ავტომანქანა „ჟიგული-2106“	7900—00
18390	429*)	მაცივარი „ზილი“	370—00
18398	182*)	100 მანეთი	—
18415	276*)	50 მანეთი	—
18420	484*)	200 მანეთი	—
18465	012*)	საკერავი მანქანა „ჩაიკა-3“	203—00
18466	485*)	300 მანეთი	—
18473	052*)	30 მანეთი	—
18478	478*)	25 მანეთი	—
18492	079*)	ხალიჩა 1,5X2,5 მ.	225—00
18497	179*)	25 მანეთი	—
18521	073*)	100 მანეთი	—
18523	239*)	100 მანეთი	—
18528	064*)	30 მანეთი	—
18534	216*)	ავტომანქანა „ჟიგული-2106“	7900—00
18565	381*)	30 მანეთი	—
18567	148*)	25 მანეთი	—
18585	080*)	საკერავი მანქანა „ჩაიკა-3“	203—00
18588	088*)	საკერავი მანქანა „ჩაიკა-3“	203—00
18592	389*)	20 მანეთი	—
18602	170*)	50 მანეთი	—
18605	139*)	25 მანეთი	—
18612	042*)	25 მანეთი	—
18620	261*)	ხალიჩა 1,5X2,5 მ.	225—00
18629	073*)	მაცივარი „ზილი“	370—00
18642	484*)	50 მანეთი	—
18643	147*)	100 მანეთი	—
18666	492*)	კინოაპარატი „ლომო-216“	70—00
18682	038*)	20 მანეთი	—
18685	209*)	მაგნიტოფონი	220—00
18687	343*)	30 მანეთი	—
18694	067*)	30 მანეთი	—
18704	135*)	ხალიჩა 1,5X2,5 მ.	225—00
18719	434*)	20 მანეთი	—
18720	463*)	30 მანეთი	—
18729	398*)	ელექტროსამოვარი	21—00
18746	294*)	20 მანეთი	—
18749	442*)	20 მანეთი	—
18753	152*)	300 მანეთი	—
18766	184*)	100 მანეთი	—
18773	182*)	30 მანეთი	—
18786	445*)	30 მანეთი	—
18797	135*)	მაგნიტოფონი	220—00
18799	424*)	ელექტროსამოვარი	21—00
18816	426*)	350 მანეთი	—
18836	405*)	25 მანეთი	—
18838	426*)	25 მანეთი	—
18845	368*)	50 მანეთი	—
18854	357*)	25 მანეთი	—
18869	174*)	25 მანეთი	—
18906	088*)	100 მანეთი	—
18916	476*)	50 მანეთი	—
18942	167*)	25 მანეთი	—
18952	055*)	1000 მანეთი	—
18959	097*)	20 მანეთი	—
18962	193*)	20 მანეთი	—
18969	207*)	20 მანეთი	—
18972	263*)	30 მანეთი	—
18983	182*)	ხალიჩა 1,5X2,5 მ.	225—00
18989	364*)	25 მანეთი	—
18992	449*)	მაცივარი „ზილი“	370—00
18993	110*)	25 მანეთი	—
18999	308*)	300 მანეთი	—
19001	344*)	200 მანეთი	—
19007	282*)	100 მანეთი	—
19026	285*)	100 მანეთი	—
19070	082*)	20 მანეთი	—
19089	348*)	20 მანეთი	—
19091	452*)	30 მანეთი	—
19121	432*)	20 მანეთი	—
19122	452*)	20 მანეთი	—
19130	467*)	ელექტროსამოვარი	21—00
19139	450*)	300 მანეთი	—
19143	283*)	50 მანეთი	—
19148	030*)	25 მანეთი	—
19165	236*)	1000 მანეთი	—
19166	478*)	საკერავი მანქანა „ჩაიკა-3“	203—00
19184	207*)	1000 მანეთი	—
19199	474*)	100 მანეთი	—

ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲐ: ლატარიის ამ სერიის ბილეთების დანარჩენ 499 ნომერს ხვდა 1 მანეთი მოგება თითოეულს.

თუ სვეტში — „ბილეთის ნომერი“ აღნიშნულია 1—500, ეს იმას ნიშნავს, რომ ერთნაირი მოგება ხვდა ლატარიის ბილეთების მოცემული სერიის ხუთასსავე ნომერს.

ეს ცხრილი ოფიციალური დოკუმენტია, რომლის მიხედვით წარმოებს ნივთმოგებათა და ფულადმოგებათა გაცემა გაზეთის მორიგი ნომრის ადგილზე მიღების შემდეგ.

მოგებათა მიღების წესი

1. ლატარიის ბილეთის მფლობელს, რომელსაც ნივთმოგება ხვდა, თავისი სურვილისამებრ შეუძლია მოგებული ნივთის ღირებულება ნაღდ ფულად მიიღოს.

ლატარიის ბილეთის ფულადი მოგება. მოგებული ნივთის ნაცვლად 100 მანეთამდე (ჩათვლით) ღირებულება შეგიძლიათ მიიღოთ საქართველოს ნებისმიერ შემნახველ სალაროში. 100 მანეთზე მეტ მოგებას გასცემენ ცენტრალური და პირველი თანრიგის შემნახველი სალაროები.

2. მოგებულ ნივთებს ლატარიის ბილეთების მფლობელთ აძლევენ ან უგზავნიან მხოლოდ ქ. თბილისის მაღაზიები.

მოგებახვედრილი ლატარიის ბილეთებით ყველა მარკის ავტომანქანების გაცემა წარმოებს მხოლოდ ქ. თბილისში, მოგებული ნივთების მისაღებად ლატარიის ბილეთები უნდა წარედგინოს შემნახველ სალაროებს.

ლატარიის ბილეთები იმ მოგებებით, რომლებიც ქ. თბილისის მაღაზიების მეშვეობით უნდა გაიგზავნოს, წარედგინება ცენტრალურ შემნახველ სალაროებს ან პირველი თანრიგის შემნახველ სალაროებს, ამასთან ლატარიის ბილეთის მფლობელი აცნობებს გვარს, სახელს, მამის სახელსა და თავისი ბინის ზუსტ მისამართს. დიდგაბარიტიან საგნებზე ნაჩვენები უნდა იყოს აგრეთვე რკინიგზის იმ უახლოესი სადგურის სახელწოდება, რომელიც სატვირთო სიჩქარის ოპერაციებს აწარმოებს.

3. მოგებულ ნივთებს მაღაზიები გასცემენ მას შემდეგ, როცა მოგებახვედრილი ლატარიის ბილეთი შემოწმდება შემნახველ სალაროში.

4. თუ ლატარიაში გათამაშებულ ცალკეულ საგნებს წარმოება აღარ უშვებს, საგნის ღირებულება მოგებახვედრილი ლატარიის ბილეთის მფლობელს ნაღდ ფულად მიეცემა.

5. ლატარიის ბილეთები, რომლებსაც მოგება ხვდა, შეგიძლიათ წარადგინოთ გასანაღდებლად ან მოგებული ნივთის მისაღებად 1980 წლის 30 ივნისამდე (ჩათვლით). ამ ვადის გასვლის შემდეგ ლატარიის ბილეთი ძალას კარგავს და გასანაღდებლად აღარ მიიღება.

ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲐ: სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში მოწყობილი ფულისა და ნივთების ლატარიის ბილეთების მფლობელს შეუძლიათ თავიანთი ბილეთები შეამოწმონ მოგებათა ცხრილებით და მიი